 2. *Spondylus* cf. *histris* Goldf. Правая створка; с. Цителкалаки, сеноман.  
 3-4. *Ostrea* aff. *hippodium* Nills. X  $\frac{1}{8}$ .  
     3 — вид со стороны макушки; 4 — левая створка;  
     ущелье р. Большая Маджара, датский ярус.  
 5-6. *Gryphaea similis* Push.  
     5 — вид сбоку; 6 — левая створка; ущелье р. Беслети.  
     датский ярус.





1-2. *Lithophaga* aff. *rugosa* d'Orb.

1 — левая створка; 2 — вид сверху; с. Ахалкалаки, сеноман.

3. *Crassatella* cf. *guerangeri* d'Orb. Правая створка. Ущелье р. Тедзами, сеноман.

4. *Cardium* *senomanense* d'Orb. Левая створка; с. Цителкалаки, сеноман.


5-6. *Ptychomya* cf. *robinaldi* d'Orb.

5 — правая створка; 6 — левая створка; с. Цителкалаки, сеноман.

7. *Hauericeras* cf. *gardeni* Bailly. Ущелье р. Хевгрдзели, сантон.

8. *Lawesiceras* cf. *peramplus* Mant. С. Гвлеви, турон.





1. *Mortoniceras* (*Deiradoceras*) *cunningtoni* Spath. X  $\frac{1}{3}$  С. Отхара, альб. X  $\frac{1}{3}$ ,
2. *Patagiosites* aff. *patagiosus* Schlüt. Ущелье р. Храми, кампан. X  $\frac{2}{3}$
3. *Lewesiceras lewesiensis* Mant. С. Гвлеви, турон. X  $\frac{1}{3}$
4. *Belemnitella langei* Schatz. Ущелье р. Хведурети, кампан.
- 5, 6. *Belemnitella* cf. *junior* Now. X  $\frac{3}{4}$   
 5 — вид с боковой стороны; 6 — продольный раскол по боковой плоскости;  
 с. Октомбери, маастрихт.
7. *Colignoniceras* (*Selwinoceras*) cf. *shluterianum* Laube et Bruder. С. Бурети, ниж-  
 ний турон.
8. *Scaphiots* cf. *geinitzi* d'Orb. С. Чачубети, турон.



### ბ. ანანიაშვილი

## ლეჩხუმის ქვედა- და უშაბიოცენური ნალექების სტრატობრაფია

На основании личных исследований автор дает стратиграфическую характеристику ниже- и среднеиоценовых отложений Лечхуми (Западная Грузия). Фаунистически подтверждается стратиграфическая последовательность сакараульского, коцахурского и тарханского горизонтов. Доказывается тарханский возраст слоев с крупными устрицами. Выяснено, что вертикальное распространение рода *Rzehakia* не ограничивается гельветским ярусом.

### შესავალი

ლეჩხუმის გეოლოგიურ შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს. მიუხედავად ამისა, მიოცენური ნალექების სტრატობრაფია ჯერ კიდევ დასაზუსტებელია.

ლეჩხუმის შესახებ არსებული ლიტერატურის გაცნობის შემდეგ ჩვენ წინაშე დაისვა საკითხები, რომლებიც შესწავლას ან დეტალიზაციას მოითხოვდა. მათში მთავარი იყო:

1. საყარაულოს, კოწახურისა და თარხნული ჰორიზონტების ერთ ჭრილში არსებობის დადგენა.

2. ზემოხსენებული ჰორიზონტების ურთიერთობის გარკვევა.

3. საყარაულოსა და კოწახურის ჰორიზონტების ფაციალური ცვლის შესწავლა.

4. დიდტანიანის ოსტრეების (*Ostrea gryphoides* Schloth., *O. gryphoides* Schloth. var. *gingensis* Schloth.) შემცველი შრეების ასაკი.

5. უსახელოს ქვიშაქვების სტრატობრაფიული მდებარეობისა და მისი ფაციალური ცვლის საკითხი და სხვა.

ზემოხსენებული ამოცანების გადაწყვეტის მიზნით ჩავატარეთ საველე-გეოლოგიური სამუშაოები. შევადგინეთ 40-მდე დეტალური სტრატობრაფიული ჭრილი და შევადგინეთ მდიდარი პალეონტოლოგიური მასალა, საიდანაც განვსაზღვრეთ და აღვწერეთ მოლუსკური ფაუნის 140 წარმომადგენელი.

ლეჩხუმი კავკასიონის წინამთების ზოლში მდებარეობს და გეოლოგიურად რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის დასავლურ ნაწილს წარმოადგენს. რაიონს დასავლეთით საზღვრავს მდ. ჯონოულა, ხოლო აღმოსავლეთით — მდ. ასკისწყალი. ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან იგი მკაფიოდ არის შემოსაზღვრული ეოცენურ-ცარცული ასაკის კირქვებითა და მერგელებით, რომლებიც რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ორივე ფრთაში მაღალი უწყვეტი კარნიზების სახით არის განვითარებული.

6. Некоторые вопросы стратиграфии . . .



რაჭა-ლეჩხუმის სინკლინი წარმოადგენს ერთ მთლიან გეოლოგიურ ერთეულს, რომელიც გეოტექტონიკურად გაგრაჟავის ზონაში შედის (გამყრელიძე, 1959, 1964). ხსენებული სინკლინი დასავლეთით ასხის მთას შემოუვლის ჩრდილოეთიდან და, მდ. ჯონოულას სათავეებთან, გადაბმის ლაშისყელის სინკლინს (ჯანელიძე, 1940). აღმოსავლეთით სინკლინი სოფ. ბაჯინების გავლით სამხრეთ-ოსეთის ძლიერ შევიწროებულ მიოცენურ დებრესიას უკავშირდება. სინკლინის ფრთები ცარცული ნალექებით არის აგებული, ხოლო გული — მესამეულით.

ნაოჭი ასიმეტრიული ხასიათისაა. მისი ჩრდილო ფრთა ზოგან  $70-80^{\circ}$  კუთხით არის დაქანებული სამხრეთისაკენ, ხოლო ზოგ ადგილას გადმოყრავებულია. სამხრეთი ფრთის აგებულებაში მონაწილე ნალექების კუთხე ძირითადად  $30-50^{\circ}$  შორის მერყეობს. ნაოჭის ასიმეტრიულობა გამოწვეულია სინკლინის ჩრდილო ფრთაში კარგად განვითარებული კიდური დანაოჭებით, რომელიც დეტალურად აღწერეს ა. ჯანელიძემ (1940) და ე. გამყრელიძემ (1966).

მეორადი ნაოჭებიდან აღსანიშნავია დეხვირის ანტიკლინი, წიფერჩი-ლესინდის სინკლინი, ლასურიაშის ანტიკლინი, ნასფერის სინკლინი და ლაბეჭინის ანტიკლინი.

პირველ ცნობებს ლეჩხუმის მიოცენური ნალექების შესახებ ვხვდებით პ. აბიხის შრომაში (1858), სადაც ავტორი სარმატული ჰორიზონტისათვის დამახასიათებელ *Cardium protractum* Eichw. ასახელებს.

შედარებით დეტალურად ეხება ლეჩხუმის მიოცენს ე. ფავრი (1875). იგი აღნიშნავს, რომ რაჭა-ლეჩხუმში ცარცისა და ნუმულიტოვანის (პალეოგენი) ნაოჭები ამოვსებულია სარმატული ნალექებით, რომლებიც სოფ. ნაყურალეშიდან მურის მიდამოებამდე ვრცელდება; სარმატული ნალექები მდ. ცხენისწყლის ხეობიდან ერთი მხრივ გრძელდება დასავლეთით, ხოლო მეორე მხრივ, რაჭის ძლიერ შევიწროებული სინკლინისაკენ. ავტორი ასახელებს 10-მდე ფორმას, რომელთა შორის ზოგი სარმატულის სახელმძღვანელო ნამარხს წარმოადგენს.

იმავე წელს გამოდის ს. სიმონოვიჩის, ლ. ბაცევიჩისა და ა. სოროკინის შრომა (1875), რომელშიც ლეჩხუმის მაგალითზე ვხვდებით მიოცენური ნალექების დანაწილების პირველ ცდას. ავტორები ლეჩხუმის მიოცენს ორ ნაწილად ჰყოფენ: 1) მიოცენის ქვედა „ქვიშიანი ზონა“ (უსახელოს ქვიშაქვები) და 2) „მიოცენის ზედა ზონა“ (ქვიშიანი ლუმამელის და კონგლომერატების ზონა). მიოცენის ქვედა ზონის ქვიშაქვებში ისინი გულისხმობენ ქვიშაქვების მძლავრ წყებას, რომელიც მდ. ხერეშურის ღელიდან (სოფ. სურამუშის მიდამოები) უწყვეტად გრძელდება მდ. ცხენისწყლის ხეობამდე. აღნიშნულ წყებას, რომელსაც ისინი „უსახელოს ქვიშაქვებს“ უწოდებენ, შუა მიოცენის ქვედა ნაწილად თვლიან.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მრავალ პრაქტიკულ საკითხთან დაკავშირებით იწყება ქვეყნის გეგმაშეწონილი და სისტემატური გეოლოგიური კვლევა. საქართველოს სხვადასხვა რაიონების გეოლოგიური შესწავლისას საკმარისი ყურადღება ექცევა მიოცენური ნალექების კვლევასაც. ამავე პერიოდიდან იწყება რაჭასა და ლეჩხუმში მიოცენის მანამდე უცნობი ჰორიზონტების გამოყოფა.

რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის დასავლეთ ნაწილში (ქვემო რაჭა) ა. ჯანელიძემ (1926) აღნიშნა სპანიოლონტელებიანი შრეები.

1928 წ. ი. კაჭარავა იკვლევდა ამბროლაურის მიდამოების მესამეულ ნალექებს. ავტორი დეტალურად აღწერს მაიკოპურ, ჩოკრაჟულ, კარაგანულ და სარ-



მატულ ნაღებებს და, პირველად რაჭა-ლეჩხუმის მესამეული აუზისათვის, პალეონტოლოგიურად ასაბუთებს ჩოკრაკული ჰორიზონტის არსებობას.

1930 წ. გამოვიდა ბ. მეფერტის შრომა (1930) ლეჩხუმის გეოლოგიური აგებულების შესახებ. მეცლევარი, ფაუნისტურ მონაცემებზე დაყრდნობით, ლეჩხუმში გამოყოფს ჩოკრაკულ, კარაგანულ, კონკურ და სარმატულ (ქვედა სარმატულ) ნაღებებს.

1930—1933 წლებში ა. ჯანელიძე (1940) იკვლევს ოკრიბის, რაჭისა და ლეჩხუმის გეოლოგიურ აგებულებას. შრომაში ლეჩხუმის მიოცენური ნაღებების შესახებ არა ერთი ახალი მოსაზრებაა გამოთქმული. ავტორი უარყოფს ე. წ. უსახელოს ქვიშაქვებისათვის მიღებულ შუა ოლიგოცენურ ასაკს და ახალი პალეონტოლოგიური მასალის საფუძველზე მას ჩოკრაკულად ათარიღებს. იგი არ გამორიცხავს ლეჩხუმის ზოგ უბანში ჩოკრაკული ნაღებების ქვეშ მიოცენის უფრო ძველი ჰორიზონტების არსებობას. ა. ჯანელიძის მიხედვით ლეჩხუმის ჩოკრაკულ ნაღებებში არსებული კონგლომერატები არ წარმოადგენს ტრანსგრესიული ჩოკრაკის ბაზალურ ნაწილს, იგი შიგაფორმაციული ხასიათისაა და სარმატის კონგლომერატების მსგავსად სხვადასხვა დონეზე მდებარეობს. ამავ შრომაში დამაჯერებლად არის დასაბუთებული სოფ. პატარა ონისა და ზედა შავრას მიდამოებში ჩოკრაკულის უდავო ტრანსგრესიული განლაგება.

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რაჭა-ლეჩხუმის სინკლინისა და მისი მოსაზღვრე რაიონების პალეოგენის სტრატეგრაფიისა და პალეოგეოგრაფიის საკითხების დაზუსტების საქმეში ი. კაჭარავამ (1944). ავტორი პალეოგენის განხილვისას მიოცენურ ნაღებებსაც ეხება. ი. კაჭარავას მიხედვით „თუ არის საერთოდ ლეჩხუმში კოწახურის ჰორიზონტი წარმოდგენილი, ეს შეიძლება იყოს უსახელოს ქვიშაქვებში (წყების ქვედა ნაწილი შეიძლება ქვედა მიოცენსაც გამოსახედეს)“. ავტორი უსახელოს ქვიშაქვების ზედა ნაწილში აღნიშნავს გადარეცხვის ნიშნებს, რასაც ჩოკრაკულ ტრანსგრესიას უკავშირებს.

ლეჩხუმის მიოცენური ნაღებების შესწავლის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს შ. კიტოვანის, ე. ვახანიას (1948, 1955, 1956, 1959) და დ. პაპავას (1957) გამოკვლევებს. ავტორებმა ტიპიურ მაიკოპის თიხებსა და პალეონტოლოგიურად კარგად დასაბუთებულ ჩოკრაკულ ნაღებებს შორის დაადგინეს საყარაულოს (შ. კიტოვანი), კოწახურისა (ე. ვახანია და დ. პაპავა) და თარხნული (ე. ვახანია) ჰორიზონტების არსებობა. ე. ვახანიამ ზემოხსენებულ რაიონში გამოყო აგრეთვე შუა სარმატული ნაღებები და, ამრიგად, ლეჩხუმის მიოცენური ნაღებებისათვის შეიმუშავა ახალი სტრატეგრაფიული სქემა.

ა. ლალიევი თავის ნაშრომში (1964) იზიარებს ლეჩხუმის მიოცენური ნაღებებისათვის შეიმუშავებულ ახალ სტრატეგრაფიულ სქემას და ზოგიერთ უბანში საყარაულოს, კოწახურისა და თარხნული ჰორიზონტების არსებობას ახალი პალეონტოლოგიური მასალით ადასტურებს.

გ. კვალაიშვილმა (1962), სოფ. ლუხვანოს მიდამოებში ნაპოვნი რზეპაკიების საფუძველზე, დაადასტურა კოწახურის ჰორიზონტის არსებობა რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთაში. სოფ. ჩქუმის მიდამოებში კოწახურსა და თარხნულს შორის ავტორი უშვებს ე. წ. „გორის ჰორიზონტის“ (ზედა პელეცეური) არსებობას, რაც ჩვენმა კვლევამ არ დაადასტურა.

ლეჩხუმის შესახებ არსებულ გეოლოგიურ ლიტერატურას უფრო დეტალურად შევეხებით ცალკეული ჰორიზონტების განხილვის დროს.



## ჭრილების აღწერა


მიოცენური ნალექები ყველაზე სრულად ლეჩხუმის დასავლეთ ნაწილსა და, კერძოდ, ჩქუმი-ნამკაშურის ზოლში (დეხვირის ანტიკლინის ჩრდილო ფრთა) არის წარმოდგენილი. ამის გამო ჭრილების აღწერას სწორედ ამ უბნიდან დავიწყებთ. შემდეგ ჭრილებს განვიხილავთ ლეჩხუმის სინკლინის ჯერ ჩრდილო, ხოლო შემდეგ სამხრეთ ფრთაში.

ყოველ ცალკე აღებულ ზოლში ჭრილებს აღვწერთ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და სტრატиграფიულად ქვევიდან ზევით.

### 1. ჭრილი სოფ. ჩქუმთან, დეხვირის ანტიკლინის ჩრდილო ფრთაში

ჭრილი შედგენილია სოფ. ჩქუმის ჩრდილოეთით, უშუალოდ საზღვარ-ლეულში. აქ გაშიშვლების ხელსაყრელი პირობები თითქმის სრული ჭრილის შედგენის საშუალებას იძლევა. აღნიშნულ უბანში შემჩნეულია ნალექების შემდეგი თანმიმდევრობა:

1. ტიბური მაიკოპური შოკოლადისფერი თიხები, მისთვის დამახასიათებელი ფურცელა გამოფიტვით, თევზის ქერცლებით, იაროზიტით და თაბაშირის წვრილი კრისტალებით. ხშირია კვერისებური ფორმის სებტარიები და ძლიერ მკვრივი, მომწვანო-ნაცრისფერი მერგელების შუაშრები (0,2—0,6 მ). ხილული სიმაღლე . . . . . 100 მ
2. მოყვითალო-ნაცრისფერი, წვრილმარცვლოვანი, სქელშრებრივი ქვიშაქვები (0,2 — 2,0 მ), რომლებსაც შუაშრების სახით გამოეყვანა მოშავო კარბონატული, თიხები. დასტაში



სურ. 1. საყარაულოს კორიზონტის სქელ-და თხელშრებრივი ქვიშაქვების ურთიერთობა მაიკოპის თიხებთან.

ფუძიდან 6 მ სიმაღლეზე ნაპოვნია—*Nucula nucleus* L., *Leda fragilis* Chemn., *Arca turonica* Du j., *A. diluvii* Lam., *Glycymeris* cf. *deshayesi* Mayer, *G. cor* Lam.,



*Cardium cf. multicosatum* Brocc., *Turritella cf. turris* Bast. შრეების დაქანების აზიმუტი NO 15°,  $\angle 40^\circ$  . . . . . 48 მ

3. მოყვითალო-ნაცრისფერი თხელშრეებრივი ქვიშაქვების, თიხიანი ქვიშაქვებისა და თიხების მორიგეობა. დასტა ძირითადად არაკარბონატულია, მაგრამ ზოგ უბანში შეიმჩნევა სუსტად კარბონატული ქვიშაქვებისა და თიხების შუაშრეები. დასტის ქვედა ნაწილში გვხვდება სებტარიები ( $d=1,5$ )<sup>1</sup> და თევზის ქერცლები, რაც შუა და ზედა ნაწილებში აღარ შეიმჩნევა . . . . . 130 მ

4. სქელშრეებრივი, მოყვითალო-ნაცრისფერი არკოზულ-გრანულაქული ქვიშაქვების, თხელშრეებრივი თიხიანი ქვიშაქვებისა და მოშავო თიხების მორიგეობა. შრეები მდიდარია როგორც ფაუნური, ისე მცენარეული დეტრიტუსით. ფუძიდან 3 მ და უკიდურეს ზედა ნაწილში ნაპოვნია—*Congerina* sp., *Eoprosodacna cf. cartlica* David, *Rzehakia socialis* (Rz.). შრეთა დაქანების აზიმუტი NO 15°,  $\angle 35^\circ$  . . . . . 120 მ



სურ. 2. კოწახურის სქელშრეებრივი ქვიშაქვები საზღვარღელეში.

5. მუქი ნაცრისფერი, ძლიერ კარბონატული ქვიშიანი თიხებისა და თიხების მორიგეობა. ქვიშიან თიხებში, ფუძიდან ორი მეტრის სიმაღლეზე ნაპოვნია—*Nucula nucleus* L., *Leda fragilis* Chemn., *Chlamys* sp., *Thyasira* sp., *Cardium aff. praeachinatum* Hilb., *Venus gallina* L. var. Fried., *Pitar islandicoides* Lam., *Abra parabilis* Zhizh., *Ostrea cf. gryphoides* Schloth., *O. cochlear* Poli და სხვ. . . . . 15 მ

6. სქელშრეებრივი, წვრილმარცლოვანი, მოყვითალო-ნაცრისფერი კარბონატული ქვიშაქვებისა და თხელშრეებრივი ქვიშიანი თიხების მორიგეობა . . . . . 20 მ

7. მოყვითალო-ნაცრისფერი, თხელშრეებრივი ქვიშაქვების, თიხების, ქვიშიანი თიხების და მერგელების მორიგეობა. განსაკუთრებით მდიდარია ფაუნით ქვიშიანი თიხების შუაშრეები. ამ დასტის უკიდურეს ზედა ნაწილში შევავსოვეთ—*Nucula nucleus* L., *Leda fragilis* Chemn., *L. pella* L. var. *magna* Zhizh., *Arca diluvii* Lam<sup>2</sup>, *Pinna* sp., *Perna* sp., *Amussium denudatum* Reuss, *Lima skeliensis* Merkl., *Ostrea gryphoides* Schloth., *O. gryphoides* Schloth. var. *gingensis* Schloth., *Ostrea gryphoides* Schooth. var. *minor* Zinov., *Mytilus aff. fuscus* M. Hörn<sup>2</sup>, *Cardium impar* Zhizh., *C. centumpanium* Andrus., *Venus aff. marginatus* M. Hörn. var. *jusmaci* Schwetz, *Pitar islandicoides* Lam., *Rzehakia socialis* (Rz.), *Cuspidaria cuspidata* Ol., *Natica helicina* Brocc., *Calyptrea chinensis* L., *Aporrhais cf. pes-pelecani* L., *Nassa tamanensis* David., *N. reitutiana* Font., *Pleurotoma neutra* Liver. . . . . 16 მ

<sup>1</sup> აქ და შემდეგში „დ“ აღნიშნავს ქვარგვალების ან კონკრეციების საშუალო დიამეტრს.

<sup>2</sup> ფორმები პირველად აღწერილია თარხნული პორიზონტიდან.



8. კარბონატული, ნატრისფერი ქვიშიანი თიხებისა და თიხების მორიგეობა. შიგ: *Leda fragilis* Chemn. და *Abra parabilis* Zhizh. . . . . 8 მ
9. იგივე ქანები, ამ დასტის ფუძეში—*Leda fragilis* Chemn. და *Ervilia praepodolica* Andrus. . . . . 15 მ
10. სქელშრეებრივი (0,2—1,5 მ) ქვიშაქვებისა და თხელშრეებრივი თიხიანი ქვიშაქვების მორიგეობა. უკანასკნელში, დასტის ფუძიდან 12 მ, ნაპოვნია—*Pteria* sp., *Cardium impar* Zhizh., *C. cf. pseudomulticostatum* Zhizh., *Tellina cf. sokolovi* (Golub). *Bajar.*, *Mactra cf. bajarunasi* Koles., *M. cf. quasi-deltoides* Bajar. . . . . 20 მ
11. მოყვითალო, თხელშრეებრივი თიხიანი ქვიშაქვებისა და მუჭი ნატრისფერი თიხების მორიგეობა . . . . . 10 მ
12. მეათე დასტის მსგავსი შრეების მორიგეობა. დასტის ფუძეში თიხიანი ქვიშაქვები შეიცავს—*Leda fragilis* Chemn., *Pteria mira* Zhizh., *Cardium impar* Zhizh., *C. centumpanium* Andrus., *C. pseudomulticostatum* Zhizh., *Tellina cf. sokolovi* (Golub.) *Bajar.*, *Donax tarchanensis* (Andrus.) *Bajar.*, *D. nathjurus* Gat., *Mactra bajarunasi* Koles., *Corbula gibba* Ol. . . . . 20 მ
13. ზოლებრივი, მოლურჯო-ნატრისფერი ქვიშიანი თიხებისა და თხელშრეებრივი ქვიშაქვების მორიგეობა . . . . . 50 მ
14. ძლიერ შეცემენტებული კონგლომერატი, რომლის მასალის სიმსხო იცვლება 0,05 — 0,2 მ; კონგლომერატის მასალა კარგად დამუშავებულია. ცემენტს მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვა წარმოადგენს . . . . . 4,5 მ
15. ქვიშიანი თიხებისა და თიხიანი ქვიშაქვების მორიგეობა, ჭარბობს პირველი. შრეთა დაქანების აზიმუტი  $NO 15^{\circ}, 4-35^{\circ}$ . . . . . 50 მ
16. მსხვილმარცვლოვანი, სქელშრეებრივი ქვიშაქვების, ქვიშიანი თიხებისა და კონგლომერატების (შედარებით იშვიათად) მორიგეობა. ამ დასტის ფუძიდან 70 მ სქელშრეებრივი ქვიშაქვებიდან განსაზღვრულია შემდეგი ფაუნა: *Arca cf. turonica* Duj. var. *bosporana* David., *Cardium centumpanium* Andrus., *Meretrix rudis* Poli var. *taurica* Andrus., *Mactra bajarunasi* Koles. . . . . 120 მ
17. მუჭი ნატრისფერი, მოშავო ქვიშიანი თიხები. შიგ: *Cardium centumpanium* Andrus., *C. cubanicum* Zhizh., *Tapes tauricus* (Andrus.) *Bajar.* var. *extenatus* Zhizh., *Tellina sokolovi* (Golub.) *Bajar.* ფაუნა აღებულია ამ დასტის ფუძიდან 2 მ სიმაღლეზე . . . . . 18 მ
18. სქელშრეებრივი ქვიშაქვების, ქვიშიანი თიხებისა და კონგლომერატების მორიგეობა. ფაუნა ძირითადად დაკავშირებულია ქვიშაქვებთან. დასტის ფუძიდან 10 მ-ზე ნაპოვნია—*Leda fragilis* Chemn., *Donax tarchanensis* (Andrus.) *Bajar.*, *Ervilia praepodolica* Andrus. . . . . 30 მ
- ხარვეზი გაშიშვლებაში . . . . . 8 მ
19. მოყვითალო-ნატრისფერი, სქელ-და თხელშრეებრივი ქვიშაქვებისა და კონგლომერატების მორიგეობა. კონგლომერატები ძირითადად შუაშრეების (0,3—0,8 მ) სახით გვხვდება. ქვიშაქვებში დიდი რაოდენობითაა: *Spaniodontella pulchella* Bailly . . . . . 60 მ

აღწერილ ჭრილში დასტა 1 წარმოდგენილია ტიპური მაიკოპის თიხებით, რომელთა უდიდესი ქვედა ნაწილი არ არის გაშიშვლებული. როგორც ქვევით დავინახავთ, აღნიშნული დასტა სრული თანხმობით იფარება საყარაულოს ჰორიზონტის სქელშრეებრივი ქვიშაქვებით. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, დასტა 1 ძირითადად ზედა (შესაძლოა ნაწილობრივ შუა) ოლიგოცენურად ჩავთვალოთ.

მეორე დასტაში შევავსოვთ შემოხსენებული ფაუნის კომპლექსი. ამ სიიდან *Arca diluvii* Lam. გარდა, შეიძლება ფორმა ცნობილია საყარაულოს ჰორიზონტში, რომელიც დამაჯერებლად არის დათარიღებული (ი. კორობკოვი, 1939; გ. ხარატიშვილი, 1952; დ. კერესელიძე, 1955) ბურდიგალურად. *Arca diluvii* Lam. პირველად არის ნაპოვნი საყარაულოს ნალექებში. იგი ცნობილია დასავლეთ ევროპის მიოცენში და აქვს დიდი სტრატეგრაფიული გავრცელება (აქვითანიურიდან ზედა ტოტონულამდე).



დასტა 3, რომელიც ამ კრილში უნამარხო, თხელშრეებრივი ქვიშაქვებისა და თიხების მორიგეობითაა წარმოდგენილი, უწყვეტლივ გრძელდება წიფერ-ჩის სერამდე, სადაც აღნიშნული დასტის სულ ზედა ნაწილიდან ე. ვახანია აღნიშნავს (1959) *Clycymeris* sp.-ს. ამ დონეზე პექტუნულუსის არსებობა უფლებას გვაძლევს შემცველი შრეები საყარაულოს სინქრონულად ჩავთვალოთ.

ამრიგად, დასტა 2 და 3 შემცველი ფაუნისა და სტრატиграფიული მდებარეობის მიხედვით საყარაულოს (180 მ) უნდა წარმოადგენდეს.

მეოთხე დასტაში ვიპოვნეთ *Eoprosodacna* cf. *cartlica* D a v i d., *Rzehakia* cf. *socialis* (Rz.) და *Congerina* sp., რომლებიც დამახასიათებელია კოწახურის ჰორიზონტისათვის. აღწერილ კრილში კოწახურის ჰორიზონტის სისქე 120 მ უდრის.

მეხუთე დასტის ფაუნის კომპლექსიდან ორი ფორმა—*Nucula nucleus* L. და *Ostrea cochlear* P o l i—თარხნული ჰორიზონტის სახელმძღვანელო ნამარხებია. *Leda fragilis* C h e m n. და *Abra parabilis* Z h i z h. საერთო ფორმებია ყირიმ-კავკასიის თარხნულ-ჩოკრაკული ნალექებისათვის (ბ. ქიქჩენკო, 1959). *Venus gallina* L., *Pitar islandicoides* L a m., *Ostrea gryphoides* S c h l o t h. (უკანასკნელს ძალიან ხშირად) აღნიშნავენ სსრკ-ის სამხრეთ ნაწილში კარგად ცნობილ ე. წ. „ოსტრებიან შრეებში“, რომელიც რიგი მკვლევრის მიხედვით თარხნული ჰორიზონტის სანაპირო ზღვის ფაციესს წარმოადგენს. *Cardium* aff. *prae-echinatum* H i l b. მხოლოდ მიახლოებით არის განსაზღვრული და სტრატиграფიული საკითხის გადაჭრაში არ შეიძლება ჰქონდეს არსებითი მნიშვნელობა.

ამრიგად, არც ერთი ზემოაღნიშნული ფორმა არ ეწინააღმდეგება მეხუთე დასტის მიკუთვნებას თარხნული ჰორიზონტისადმი, ხოლო ფაუნის ხსენებულ კომპლექსში ორი სახელმძღვანელო ნამარხის არსებობა ასეთ გადაწყვეტილებას კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის.

დასტა 6 ფაუნას არ შეიცავს.

მეშვიდე დასტის ფაუნიდან თუ გამოვრიცხავთ ისეთ ფორმებს, რომლებიც პირველად ააღწერილი თარხნულში, ან ისეთებს, რომლებსაც არა აქვთ გარკვეული სტრატиграფიული ღირებულება, დარჩება თარხნულის სახელმძღვანელო ნამარხების მნიშვნელოვანი რაოდენობა, როგორიცაა: *Nucula nucleus* L., *Amussium denudatum* R e u s s, *Ostrea cochlear* P o l i, *Natica helicina* B r o c c., *Aporrhais* cf. *pes-pelecani* L., *Nassa tamanensis* D a v i d., *Pleurotoma neutra* L i v e r.

აღნიშნული ფაუნის საფუძველზე დასტები 5, 7 და მათ შორის მოთავსებული უნამარხო დასტა 6 უთუოდ თარხნულ ჰორიზონტს უნდა ეკუთვნოდეს. ამრიგად, ხსენებულ კრილში თარხნულის სიმძლავრე 51 მ უდრის.

მერვე დასტაში ნანახი ფაუნა საერთოა თარხნულისა და ჩოკრაკული ჰორიზონტებისათვის. მაგრამ, მხედველობაში ვიღებთ რა დიდ ლითოლოგიურ მსგავსებას ზევით მდებარე, პალეონტოლოგიურად კარგად დახასიათებულ ჩოკრაკულ ნალექებთან, აღნიშნულ დასტას პირობითად უკანასკნელს ვაკუთვნებთ.

დასტები 9—18 (საერთო სიმძლავრე 350 მ) დიდი რაოდენობით შეიცავს ჩოკრაკული ჰორიზონტისათვის დამახასიათებელი ფაუნის კომპლექსს, რაც უფლებას გვაძლევს შემცველი შრეები ჩოკრაკულად მივიჩნიოთ.

დასტა 19 (ხილული სისქე 60 მ) მთელ სისქეზე შეიცავს კარაგანული ჰორიზონტისათვის დამახასიათებელ სპანოიდონტელების ფაუნას.



სრულიად ანალოგიური კრილია სოფ. წიფერჩის ჩრდილოეთით, წიფერჩის სერის გასწვრივ. მსგავსება მათ შორის იმდენად დიდია, რომ წიფერჩის სერის კრილის განხილვა მიზანშეუწონლად მიგვაჩნია გამეორების თავიდან აცილების მიზნით. აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ უკანასკნელ უბანში ისევე, როგორც სოფ. ჩქუმის კრილში, *Rzehakia socialis* (R. z.) და *Ostrea gryphoides* Schloth. გვხვდება მდიდარ თარხნულ ფაუნასთან ერთად.

## 2. კრილი ბარდნალისღელის გასწვრივ

ბარდნალისღელე დასავლეთით ჩამოუდის სოფ. ბარდნალას და ჰქმნის ვიწრო და ღრმა ხეობას, სადაც კარგადაა გაშიშვლებული მიოცენური ნალექები. კრილის აღწერას ვიწყებთ სოფ. ბარდნალას ჩრდილო-დასავლეთით, ღელისა და სატრამე გზის გადაკვეთიდან. აქ ტიპიურ მაიკოპის თიხებს თანხმობით აგრძელებს:

1. მომწვანო-ნაცრისფერი, წვრილმარცვლოვანი, თხელშრეებრივი ქვიშაქვების, ქვიშიანი თიხებისა და თიხების მორიგეობა. ამ დასტაში ძალიან იშვიათია სქელშრეებრივი ქვიშაქვების ისეთი შუაშრეები, რომელიც ამავე დონეზე, წინა კრილებში იყო აღნიშნული. ამ დასტის ფუძიდან 4 მ ნაპოვნია—*Leda fragilis* Chemn., *Arca* cf. *turonica* Duj., *Cardium* sp., *Turritella* cf. *turris* Bast. შრეთა დაქანების აზიმუტი NW 350°,  $\angle 40^\circ$  . . . 105 მ
2. მოყვითალო-ნაცრისფერი, სქელშრეებრივი (0,2—2 მ) ქვიშაქვების, თხელშრეებრივი მოშავო თიხიანი ქვიშაქვებისა და თიხების მორიგეობა. ორი უკანასკნელი შუაშრეების სახით არის მოქცეული ქვიშაქვების მორიგეობაში. სქელშრეებრივი ქვიშაქვებისათვის ძლიერ დამახასიათებელია სფერული გამოფიტვა, რის შედეგადაც, ხშირად გარკვეულად ორიენტირებულ, 1—3 მ ზომის „ბირთვებს“ ვღებულობთ. ბირთვები იმავე მასალისგანაა აგებული, რისგანაც სქელშრეებრივი ქვიშაქვები, მაგრამ უკანასკნელზე უფრო მკვრივი და მეტად კარბონატულია. ასეთი ბირთვები ძლიერ დამახასიათებელია კოწახურის ჰორიზონტისათვის, თუმცა ლეჩხუმში, როგორც შემდეგ დავინახავთ, უფრო ახალგაზრდა (ჩოკრაკულ) ნალექებშიც გვხვდება. დასტაში იშვიათად გამოიჩენება ნახშირის თხელი (0,1 მ) შუაშრეები და ღონეები . . . 75 მ
3. თხელშრეებრივი, კარბონატული, ნაცრისფერი ქვიშაქვებისა და მოშავო ქვიშიანი თიხების მორიგეობა. შიგ მხოლოდ ფაუნის დეტრიტუსია. აზიმუტი NW 350°,  $\angle 40^\circ$  . . . 4 მ
4. სქელშრეებრივი, თითქმის მასიური (3 მ) მოყვითალო-ნაცრისფერი ქვიშაქვებისა და მოშავო ქვიშიანი თიხების მორიგეობა. დასტა მთლიანად კარბონატულია . . . 15 მ
5. მოშავო-ნაცრისფერი კარბონატული თიხები, რომლებსაც იშვიათად გამოიჩენება თხელშრეებრივი (0,05—0,1) კარბონატული ქვიშაქვების შუაშრეები. ამ დასტის ფუძეში აღმოჩნდა—*Nucula nucleus* L., *Leda fragilis* Chemn., *L. subfragilis* R. Hoern., *Pitar islandicoides* Lam., *Nassa* cf. *restitutiana* Font., *Natica* cf. *helicina* Brocc. . . . . 4 მ
6. ფხვიერი, მოშავო ნახშირის დეტრიტუსით მდიდარი ქვიშაქვები . . . . . 1 მ
7. სუსტად კარბონატული მოშავო თიხებისა და შედარებით იშვიათად თხელშრეებრივი ქვიშაქვების მორიგეობა . . . . . 10 მ
8. სქელშრეებრივი მოყვითალო-მონაცრისფრო ქვიშაქვებისა და თხელშრეებრივი, ცისფერი ქვიშიანი თიხების მორიგეობა . . . . . 14 მ
9. კარბონატული, თხელშრეებრივი ქვიშიანი თიხებისა და ქვიშაქვების მორიგეობა. შიგ: *Leda fragilis* Chemn., *Pitar islandicoides* Lam., *Abra parabilis* Zhizh., *Xylophaga* cf. *dorsalis* Turt. და სხვ. ფაუნა შეგროვილია ამ დასტის ფუძიდან 2 და 18 მ
10. ისეთივე დასტა, როგორც 9. ქვიშიანი თიხებში აღმოჩნდა—*Leda fragilis* Chemn., *L. pella* L. var. *magna* Zhizh., *Tellina sokolovi* (Golub.) Bajar., *Abra parabilis* Zhizh., *Donax* sp., *Lutraria* cf. *primipara* Eichw., *Ervilia praeopodolica* Andrus., *Trochus kertschensis* Usp. შრეთა დაქანების აზიმუტი NW 345°,  $\angle 40^\circ$  . . . . . 25 მ
11. სქელშრეებრივი, მოყვითალო-ნაცრისფერი, კარბონატული ქვიშაქვები, რომლებიც, გარეგნულად ძალიან ჰგავს კოწახურის სქელშრეებრივ ქვიშაქვებს. შიგ: *Pteria mira* Zhizh.



*Tapes tauricus* (Andrus.) Bajar. var. *extenatus* Zhizh., *Tellina sokolovi* (Golub.) Bajar. . . . . 65 მ  
ხარვეზი გაშიშვლებაში . . . . . 40 მ

12. მოყვითალო-ნაცრისფერი, მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვებისა და კონგლომერატების მორიგეობა. კონგლომერატის მასალა კარგად დამრგვალებულია. შემადგენელი ქვარგვლების სიმსხო ძირითადად მერყეობს 0,01—0,05 მ შორის, იშვიათად გამოერევა 0,2—0,3 მ ზომის ლოდები. ზევით კონგლომერატების მასალის სიმსხო თანდათან კლებულობს და მათ ადგილს მიკროკონგლომერატები იკავებს . . . . . 45 მ

13. სქელშრეებრივი, მსხვილმარცვლოვანი ნაცრისფერი ქვიშაქვებისა და თხელშრეებრივი, კარბონატული მოყავისფრო ქვიშიანი თიხების მორიგეობა. შიგ: *Modiolus tarchanensis* Gat., *Cardium cubanicum* Zhizh., *Donax tarchanensis* (Andrus.) Bajar. . . . . 14 მ

14. მოყვითალო თხელშრეებრივი, კარბონატული ქვიშაქვებისა და თიხების მორიგეობა თიხებში: *Arca turonica* Duj. var. *bosphorana* David., *Corbula gibba* Ol. . . . . 20 მ  
ხარვეზები გაშიშვლებაში . . . . . 25 მ

15. სქელშრეებრივი (0,2—2,5 მ) ნაცრისფერი კარბონატული ქვიშაქვებისა და ცისფერი ქვიშიანი თიხების მორიგეობა, რომელსაც ხშირად კონგლომერატების შუაშრეები (0,5—2 მ) გამოერევა. კონგლომერატის მასალის სიმსხო ცვალებადობს 0,01—0,08 მ-დე; იშვიათად უფრო დიდი ზომის ქვარგვლებიც გვხვდება. ამ დასტის ფუძიდან 18 მ. სქელშრეებრივ ქვიშაქვებში ნაპოვნია — *Pteria mira* Zhizh., *Mytilus* aff. *fuscus* M. Hörn. var. *pulcher* Zhizh., *Tapes tauricus* (Andrus.) var. *extenatus* Zhizh., *Ervilia* sp. . . . . 20 მ

16. იგივე ქანები, მხოლოდ ქვიშაქვების ცალკეულ შრის სისქე 1 მ არ აღემატება. ქვიშაქვებიდან განასაზღვრული გვაქვს: *Mytilus* sp., *Tapes tauricus* (Andrus.) Bajar. var. *extenatus* Zhizh., *Donax tarchanensis* (Andrus.) Bajar., *Ervilia praepodolica* Andrus. . . . . 30 მ

17. კონგლომერატებისა და მსხვილმარცვლოვანი, დეტრიტუსიანი ქვიშაქვების მორიგეობა. უკანასკნელი შუაშრეების (0,2—0,5 მ) სახით არის მოქცეული კონგლომერატებს შორის. ქვიშაქვებში ნაპოვნია — *Leda fragilis* Chemn., *Donax tarchanensis* (Andrus.) Bajar. . . . . 55 მ

18. მოყვითალო-ნაცრისფერი, მსხვილ- და წვრილმარცვლოვანი, მკვრივი ქვიშაქვების მორიგეობა. იშვიათად გამოერევა 0,1—0,2 მ სისქის მიკროკონგლომერატის შუაშრეები. წვრილმარცვლოვან ქვიშაქვებში ნაპოვნია — *Planorbis* aff. *mantelli* Brogn. . . . . 10 მ

19. მოყვითალო-ყავისფერი, ძლიერ კარბონატული თიხების, ფხვიერი, სქელშრეებრივი ქვიშაქვებისა და კონგლომერატების (0,2—1 მ) მორიგეობა; კონგლომერატების მასალის სიმსხო ძირითადად 0,01—0,05 მ ფარგლებში მერყეობს. დასტის მთელ სისქეზე, ქვიშაქვებით დიდი რაოდენობით შეცავს — *Spaniodontella pulchella* Bailly და *Spaniodontella pulchella* Bailly var. *umbonata* Andrus. შედარებით იშვიათია *Spaniodontella tapesoides* Andrus. . . . . 80 მ

ზევით შრეები სქელი დელუვიონით იფარება.

აღწერილ ქრისტში დასტა 1 სრული თანხმობით აგრძელებს ტიპურთ მაიკოპის თიხებს და წარმოდგენილია თხელშრეებრივი ქვიშიან-თიხიანი ნალექებით. ამ დასტის ფუძესთან ახლოს ვიპოვნეთ ფაუნის რამდენიმე წარმომადგენელი — *Leda fragilis* Chemn., *Arca* cf. *turonica* Duj., *Turritella* cf. *turris* Bast.

ამავე შრეებიდან ა. ლალიევი (1964) აღნიშნავს შემდეგ ფორმებს: *Cardium* cf. *discrepans* Mayer, *Leda* aff. *fragilis* Chemn., *Ostrea* sp., *Perna* sp., *Cryptodon* sp., *Pinna* (?) sp., *Corbula* (?) sp., *Pleurotoma* (?) sp., *Chlamys* (?) sp., *Trochus* sp.

ზემოსხენებულ ფაუნას ხშირად აღნიშნავენ საყარაულოს ჰორიზონტიდან, რის გამო დასტა 1 მიკუთვნება უკანასკნელისადმი მართებულად მიგვაჩნია. აქ საყარაულოს სიმძლავრე 105 მ აღწევს.



მომდევნო 2—4 დასტებში (საერთო სისქე 95 მ) ფაუნა არ შეგვხვდებოდა, მაგრამ მსგავს სქელშრეებრივ ქვიშაქვებში, იმავე სტრატეგრაფიულ დონეზე როგორც დასავლეთით, ისე აღმოსავლეთით ნაპოვნია კოწახურისათვის დამახასიათებელი ფაუნის კომპლექსი, რაც უფლებას გვაძლევს აღნიშნული დასტები კოწახურის სინქრონულად ჩავთვალოთ.

დასტები 5—9 შეიცავს თარხნული ჰორიზონტისათვის დამახასიათებელ ორსაგდულიანების ლარიბ ფაუნას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ჰორიზონტის თარხნული ფაუნის შემცველ ორ თხელშრეებრივ დასტას შორის მოქცეულია უნამარხო სქელშრეებრივი ქვიშაქვების დასტა (14 მ), რომელიც, როგორც ზევით აღვნიშნეთ, კარგ სამარკირო ჰორიზონტს წარმოადგენს.

დასტები 10—17 შემცველი სახელმძღვანელო ნამარხების მიხედვით აშკარად ჩოკრაკულია. ხსენებულ ჰორიზონტში საყურადღებოა ის გარემოება, რომ ტიპური ჩოკრაკულ ფორმებთან ერთად (იხ. დასტა 10) ნაპოვნია *Lutraria c. f. primipara Eichw.*, რომელიც ზოგი მკვლევრის (გ. კვალიაშვილი, 1960) მიხედვით არ შეიძლება გვხვდებოდეს ზედა ჰელვეციურზე უფრო ახალგაზრდა ნალექებში. სოფ. ბარდნალის მიდამოებში ჩოკრაკულის სისქე 340 მ უდრის.

დასტა 18-დან აღწერილი და განსაზღვრული გვაქვს *Planorbis aff. mantelli Brong.*, რომელიც ი. კორობკოვის მიხედვით კარავანული ჰორიზონტისათვის არის დამახასიათებელი.

კარავანულსავე მიეკუთვნება დასტა 19, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს ამ ჰორიზონტისათვის დამახასიათებელ სპანიოლონტელებს.

### 3. ჰორიზონტი. ნამკაშურის ხეობაში, სოფ. ჭალისთავის მახლობლად

მდ. ნამკაშური სოფ. ჭალისთავთან ფართო ხეობას ჰქმნის. აქ, ხეობის ფერდობები ძირითადად დელუვიონითაა დაფარული და მხოლოდ აქა-იქ ჩანს მაიკობის თიხებისათვის დამახასიათებელი მოყავისფრო ნიადაგი. სოფ. ჭალისთავის ჩრდილოეთით, მთავარი შარავისა და მდინარის გადაკვეთიდან ზევით (მდინარის გასწვრივ) 50 მ შიშვლდება:

1. არაკარბონატული, მოყვითალო-ნაცრისფერი, თხელშრეებრივი ქვიშაქვების, ქვიშიანი თიხებისა და თიხების მორიგეობა. ძალიან იშვიათია სქელშრეებრივი ქვიშაქვების შუაშრეები. ქვიშიან თიხებში ხშირია მცენარეული დეტრიტუსი . . . . . 75 მ  
ხარვეზი გაშიშვლებაში . . . . . 8 მ

2. მუქი-ნაცრისფერი, არაკარბონატული თიხებისა და ქვიშიანი თიხების მორიგეობა. თიხების დასტაში იშვიათად გვხვდება წვრილმარცვლოვანი, მკვრივი ქვიშაქვების 0,05—0,1 მ სისქის შუაშრეები . . . . . 60 მ

3. სქელშრეებრივი (0,2—3 მ) მოყვითალო ფერის ქვიშაქვებისა და ნაცრისფერი, თხელშრეებრივი ქვიშიანი თიხების მორიგეობა. მეორე ძალიან მდიდარია მცენარეული დეტრიტუსით. ფუძიდან 10 მ სქელშრეებრივი ქვიშაქვები შეიცავს—*Rzehakia socialis* (Rz.). შრეთა დაქანების აზიმუტი NW 325°,  $\angle$  50—55° . . . . . 20 მ

4. თხელშრეებრივი, მოშავო, არაკარბონატული თიხიანი ქვიშაქვების, თიხებისა და ქვიშიანი თიხების მორიგეობა. ამ დასტის ქვედა 12 მ არაკარბონატულია. დასტის ფუძიდან 12 მ ზევით შრეები კარბონატული ხდება და ჩნდება ფაუნის პირველი წარმომადგენლები—*Nucula nucleus* L., *Leda cf. subfragilis* R. Hoern. . . . . 14 მ

5. დასტა ძირითადად ისეთივე ქანებით არის წარმოდგენილი, როგორც დასტა 4, მაგრამ აქ ემატება თხელშრეებრივი, ნაცრისფერი მკვრივი ქვიშაქვების შუაშრეები. ამ დასტის ფუძიდან 8 მ ქვიშიან თიხებში ნაპოვნია—*Nucula nucleus* L., *Leda fragilis* Chemn., *Cardium impar* Zhizh., *Rzehakia socialis* (Rz.), *Abra parabilis* Zhizh., *Cultellus cf. probus* Merkl., *Natica helicina* Brocc., *Aporrhais pes-pelecani* L., *Pleurotoma neutra* Liver., *Spirialis* sp. . . . . 11 მ  
ხარვეზი გაშიშვლებაში . . . . . 7 მ



6. მოყვითალო-ნაცრისფერი, ოდნავ ქვიშიანი თიხები, რომლებიც გამოფიტულ ზედაპირზე უსწორმასწორო ფორმის მრავალკუთხედებს ჰქმნიან. თიხებში — *Leda fragilis* Chemn., *Tapes* sp., *Abra parabilis* Zhizh., *Mactra quasi-deltoides* (Bog.) Bajar., *Ervilia praepodolica* Andrus. . . . . 12 მ
7. მოყვითალო-მონაცრისფრო თიხების, თიხიანი ქვიშაქვებისა და ქვიშაქვების შუაშრები (0,1—0,3 მ), ქვიშაქვები გაქედილია *Ervilia praepodolica* Andrus. . . . . 13 მ  
ხარვეზი გაშიშვლებაში . . . . . 8 მ
8. იგივე, რაც დასტა 7. თიხიანი ქვიშაქვებიდან განსაზღვრული გვაქვს—*Leda fragilis* Chemn., *Cardium centumpanium* Andrus., *C. pseudomulticostatum* Zhizh., *Mactra quasi-deltoides* (Bog.) Bajar. . . . . 115 მ
9. ნაცრისფერი, მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვები, რომელშიც აქა-იქ გაფანტულია 0,02—0,05 მ ქვარგალები. ქვიშაქვებში ნაპოვნია *Tellina sokolovi* (Golub.) Bajar. და *Ervilia praepodolica* Andrus. შრეთა დაქანების აზიმუტი NW 340°,  $\angle 55^\circ$  . . . 0,5 მ
10. კონგლომერატი, კარგად დამრგვალებული ქვარგალებით, რომელთა ზომა მერყეობს 0,01—0,05 მ შორის. იშვიათად უფრო დიდი ზომის (0,1 მ) ქვარგალებიც. . . . . 0,8 მ
11. იგივე, რაც დასტა 7. *Pteria mira* Zhizh., *Venus* sp., *Ervilia pusila* Phil. var. *leptotaecha* Zhizh. . . . . 5 მ
12. თიხების, ქვიშიანი თიხებისა და თხელშრებრივი [(0,1—0,15 მ) ქვიშაქვების მორიგეობა. დასტის ფუძიდან 6 მ, ნაცრისფერ თიხებში მრავლადაა *Spirialis* sp. ხოლო ქვიშაქვებში—*Leda fragilis* Chemn. და *Abra parabilis* Zhizh. ფუძიდან 15 მ—*Abra parabilis* Zhizh., *Cuspidaria* sp., *Spirialis* sp. . . . . 50 მ
13. მტკიცედ შეცემენტებული კონგლომერატები. ქვარგალების მასლა მერყეობს 0,03—0,2 მ-დე, იშვიათად არის 0,3—0,5 მ ლოდებიც. ცემენტი მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვა . . . . . 15 მ  
ხარვეზი გაშიშვლებაში . . . . . 5 მ
14. მოყვითალო-ნაცრისფერი, ფხვიერი ქვიშაქვების და თიხიანი ქვიშაქვების მორიგეობა. ქვიშაქვებში—*Pteria mira* Zhizh. . . . . 27 მ  
ხარვეზი გაშიშვლებაში . . . . . 20 მ
15. მოყვითალო მსხვილმარცვლოვანი, სქელშრებრივი (0,2—1,2 მ) ფხვიერი ქვიშაქვებისა და თხელი (0,03—0,05 მ) ნაცრისფერი ქვიშიანი თიხების მორიგეობა. ქვიშაქვებში დასტის ფუძიდან 6 მ-ზე ნაპოვნია—*Arca* sp., *Pteria mira* Zhizh., *Cardium* sp., *Venus marginata* M. Hörn. var. *jusmaci* Schwetz, *Dosinia lupinus* L., *Ervilia praepodolica* Andrus. ხოლო 9 მ—*Venus marginata* M. Hörn. var. *jusmaci* Schwetz, *Ervilia praepodolica* Andrus. დასტის ფუძიდან 20 მ სიმაღლეზე, სქელშრებრივ ქვიშაქვებში შევხვება—*Arca* cf. *turonica* Duj. var. *bosporana* David., *Chama* cf. *toulai* David., *Cardium impar* Zhizh., *C. pseudomulticostatum* Zhizh., *C. centumpanium* Andrus., *Donax* cf. *tarchanensis* (Andrus.) Bajar., *Mactra bajarunasi* Koles.
- აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ სქელშრებრივ ქვიშაქვებს შორის მოქცეული ქვიშიანი თიხები სრულიად მოკლებულია ფაუნას. უფრო ზემოთ, ქვიშაქვებს სპორადულად გამოერევა მიკროკონგლომერატის ლინზები, რომლებშიც მხოლოდ ფაუნური დეტრიტუსი გვხვდება. ქვიშაქვები ისევ კარგად დაცულ ფაუნას შეიცავს. დასტის ფუძიდან 22 მ აღმოჩნდა—*Arca turonica* Duj var. *bosporana* David., *Pteria mira* Zhizh., *Modiolus tarchanensis* Gat., *Cardium centumpanium* Andrus., *Meretrix rudis* Poli var. *taurica* Andrus., *Venus marginata* M. Hörn. var. *jusmaci* Schwetz, *Mactra bajarunasi* Koles. შრეთა დაქანების აზიმუტი NW 340°,  $\angle 50^\circ$  . . . . . 25 მ
16. მოყვითალო მსხვილმარცვლოვანი ქვიშაქვების, ქვიშიანი თიხებისა და კონგლომერატების მორიგეობა. ქვარგალები, კონგლომერატების გარდა, ხშირად ქვიშაქვებშიც არის გაფანტული. ქვარგალების ზომა ძირითადად 0,01—0,5 მ, იშვიათად, 0,1—0,15 მ შორის მერყეობს. დასტის ფუძიდან 1 მ, სქელშრებრივ ქვიშაქვებში აღმოჩნდა—*Arca turonica* Duj. var. *zageriensis* var. nov., *Cardium impar* Zhizh., *C. cubanicum* Zhizh. ფუძიდან 2,5 მ—*Cardium* cf. *pseudomulticostatum* Zhizh., *Tapes tauricus* (Andrus.) Bajar. var. *extenatus* Zhizh., *Mactra* cf. *bajarunasi* Koles., *Ervilia praepodolica* Andrus. ფუძიდან 4 მ სიმაღლეზე—*Pteria mira* Zhizh., *Chlamys* sp., *Meretrix rudis* Poli var. *taurica* Andrus. ხოლო 15 მ—*Leda fra-*



gilis Chemn., Arca turonica Duj. var. zageriensis var. nov., Arca sp., Trochus kertschensis Usp. შრეთა დაქანების აზიმუტი NW 340°,  $\angle$  40° . . . . . 25 მ

17. მსტილმარცვლოვანი, მომწვანო-ნაცრისფერი ქვიშაქვებისა და თიხიანი-ქვიშაქვების მორიგეობა. ამ დასტაში ძალიან იშვიათია კონგლომერატის შუაშრეები, დასტის ფუძიდან 2 მ, ქვიშაქვებში ჩაბოვნი—Chlamys sp., Meretrix rudis Poli var. taurica Andrus., Tellina sokolovi (Golub.) Bajar., Donax cf. tarchanensis (Andrus.) Bajar. შრეების დაქანების აზიმუტი NW 340°,  $\angle$  45° . . . . . 5 მ

დასტა 1 (15 მ) სტრატეგრაფიული მდებარეობის მიხედვით საყარაულოს უნდა მიეკუთვნოს. ასეთ დასკვნას უფრო დამაჯერებელს ხდის ის ფაქტიც, რომ აღნიშნული დასტა სრულიად ისეთივე ნალექებით არის წარმოდგენილი, როგორც ბარდნალისღელის საყარაულოს ქვიშიანი-თიხიანი შრეები.

დასტა 2 ქვედა ნაწილიდან ა. ლალიევი (1964) აღნიშნავს: Rzehakia socialis (R z.), Cardium aff. cartlicum David., C. aff. goriense David., Cardium sp. Rzehakia socialis (R z.) ვიბოვნეთ მესამე დასტის სქელშრეებრივ ქვიშაქვებში, აღნიშნულის საფუძველზე ვფიქრობთ, რომ 2 და 3 დასტების (საერთო სიმაღლერე 80 მ) მიკუთვნება კოწახურის პორიზონტისადმი ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

მეოთხე და მეხუთე დასტებში თარხნული პორიზონტისათვის დამახასიათებელი ფაუნაა შევროვილი, რის გამოც მათ თარხნულს ვაკუთვნებთ. აქ, თარხნული შრეების სისქე 25 მ მცირდება. ამ ჭრილშიც Rzehakia socialis (R z.) გვხვდება თარხნულ სახელმძღვანელო ნამარხებთან ერთად.

დასტები 6-17 თითქმის მთელ სისქეზე შეიცავს ჩოკრაკულ სახელმძღვანელო ნამარხებს. სოფ. ბარდნალასთან ჩოკრაკულის სიმაღლერე 305 მ აღწევს.

აღწერილი ჭრილით ვამთავრებთ დეხვირის ანტიკლინის ჩრდილო ფრთის მიოცენური ნალექების განხილვას. ქვემოთ მოყვანილი ჭრილი შედგენილია რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთაში.

#### 4. ჭრილი მდ. ცხენისწყლისა და ლაჯანურის წყალგამყოფზე, ორბელის სერის გასწვრივ

ორბელის სერს თხემურ ნაწილში მიუყვება საურმე გზა, რომლის გასწვრივ ნალექების შემდეგი თანმიმდევრობა აღვწერთ:

1. ტიპური მაიკოპური წყება წარმოდგენილია შოკოლადისფერი, ფურცელა, იარაო-ტიანი თიხებით, რომლებშიც ძალიან ხშირია თევზის ქერცლები და თაბაშირის წვრილი კრისტალები. ამავე დასტაში შუაშრეების (0,1—0,2 მ) სახით მორიგეობს მერგალები, რომლებიც ზოგჯერ 0,6 მ სისქეს აღწევს. აქვე გვხვდება სფერული კონკრეციები (დ=1—2 მ) . . . . . 100 მ

2. წანა დასტას სრული თანხმობით მოყვება კარბონატული, შავი ქვიშიანი თიხები. შიგ: Leda fragilis Chemn., Arca cf. turonica Duj., Glycymeris cf. deshayesi Mayer, Glycymeris sp., Cardium multicostatum Brocc., Turritella cf. turris Bast. . . . . 5 მ

3. ტიპური მაიკოპის თიხები . . . . . 5 მ

4. წვრილმარცვლოვანი, მოყვითალო-ნაცრისფერი ქვიშაქვები. შრეთა დაქანების აზიმუტი NO 20°,  $\angle$  35—40° . . . . . 2 მ

5. თხელშრეებრივი, მოყვითალო-ნაცრისფერი თიხიანი ქვიშაქვებისა და თიხების მორიგეობა . . . . . 10 მ

6. მაიკოპის თიხების, წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვების (0,1—0,2 მ) და თხელშრეებრივი თიხიანი ქვიშაქვების მორიგეობა . . . . . 2 მ  
ხარვეზი გაშიშვლებაში . . . . . 5 მ

7. მოყვითალო-ცისფერი თიხებისა და თიხიანი ქვიშაქვების მორიგეობა, პირველი აშკა-



არად ქარბობს მეორეს . . . . .	4 მ
8. მკვრივი, მოყვითალო-ნაცრისფერი, წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვები . . . . .	0,7 მ
9. თხელშრეებრივი, მოყვითალო-ნაცრისფერი თიხიანი ქვიშაქვებისა და მკვრივი ქვიშაქვების მორიგეობა. თიხიანი ქვიშაქვები ძალიან მდიდარია მცენარეული დეტრიტუსით.....	12 მ
10. მოყვავისფრო-ცისფერი, თხელშრეებრივი თიხიანი ქვიშაქვებისა და თიხების მორიგეობა; თიხები ძალიან ჰგავს ტიპურ მაიკოპის თიხებს. დასტის ზედა ნაწილები თანდათან უფრო ქვიშაიანი ხდება და გადადის . . . . .	80 მ
11. მოყვითალო-ნაცრისფერი, სქელშრეებრივ (თითქმის მასიური) ქვიშაქვებში, იშვიათად გვხვდება ქვიშაიანი თიხების შუაშრეები, შრეთა დაქანების აზიმუტი N-ია, $\angle 45^\circ$ . . . . .	14 მ
ხარვეზი გაშიშვლებაში . . . . .	10 მ
12. ძლიერ ფზიური ქვიშაიანი თიხები, რომლებიც ინტენსიურად არის შეღებილი რკინის უანგით . . . . .	25 მ
13. სქელშრეებრივი (0,6—0,8 მ) მოყვითალო-ნაცრისფერი ქვიშაქვებისა და თხელშრეებრივი ქვიშაიანი თიხების (დამორჩილებულად) მორიგეობა. ქვიშაქვები დეტრიტუსიანია.....	27 მ
14. თხელშრეებრივი, მოყვითალო ქვიშაქვებისა და მომწვანო ქვიშაიანი თიხების მორიგეობა. დასტის ფუძიდან 17 მ შეეგაროვით— <i>Leda subfragilis</i> R. Hoern., <i>Abra parabilis</i> Zhizh., <i>Cultellus</i> cf. <i>probus</i> Merkl. შრეთა დაქანების აზიმუტი NO $5^\circ$ , $\angle 60^\circ$ . . . . .	20 მ
ხარვეზი გაშიშვლებაში . . . . .	35 მ
15. მოყვითალო, წვრილმარცვლოვანი, თხელშრეებრივი ქვიშაქვებისა და თიხების მორიგეობა . . . . .	24 მ
ხარვეზი გაშიშვლებაში . . . . .	20 მ
16. წვრილმარცვლოვანი ნაცრისფერი ქვიშაქვები, რომელიც ზედა ნაწილში თანდათან მსხვილმარცვლოვანი ხდება. უფრო ზევით მსხვილმარცვლოვან ქვიშაქვებს მიკროკონგლომერატები, ხოლო შემდეგ კონგლომერატები სცვლის. კონგლომერატების მასალის ზომა ცვალებადობს 0,01—0,05 მ შორის. შეცემენტება სუსტია . . . . .	3 მ
სტრატეგრაფიულად ზევით ნალექები სქელი დელუვიონით იფარება.	

პირველი დასტის ფუძეში ე. ვახანიამ იპოვნა *Leda chadumica* K o r o b k., *Abra* cf. *bosqueti* S e m., *Limopsis* sp., *Phacoides* cf. *batalpachinicus* K o r o b k., *Planorbella* sp., რომლის მიხედვით შემცველი შრეები ხაღუმის ჰორიზონტს მიეკუთვნება. ხაღუმი მკვლევართა უმეტესობამ ქვედა ოლიგოცენის სინონიმად მიიჩნია, თუმცა ეს დაშვება არ შეიძლება დასაბუთებულად ჩაითვალოს. მართალია, ხაღუმი ოლიგოცენის ძირში მდებარეობს, მაგრამ ეს კიდევ არ ამტკიცებს იმას, რომ იგი მთელ ქვედა ოლიგოცენს უდრიდეს. რამდენიმე ხნის წინათ იგი შუა ოლიგოცენურად იყო მიჩნეული და როდესაც *Varia-mussium fallax*-ის ჰორიზონტი ზედა ეოცენს მიაკუთვნეს, ხაღუმიც ქვევით ჩაიტანეს. თუ ვავიზიარებთ იმას, რომ ხაღუმი მთელ ქვედა ოლიგოცენს მოიცავს, მაშინ აღწერილი ჭრილის მაიკოპური თიხები (100 მ) მთელ ოლიგოცენს უნდა უდრიდეს.

დასტა 2 შეიცავს საყარაულოსათვის დამახასიათებელ ისეთ ფორმებს, როგორცაა: *Leda fragilis* C h e m n., *Arca* cf. *turonica* D u j., *Glycymeris* cf. *deshayesi* M a y e r, *Cardium* cf. *multicosrarum* B r o c c. და *Turritella* cf. *turris* B a s t. ამავე დასტიდან ე. ვახანია (1959) აღნიშნავს: *Glycymeris deshayesi* M a y e r, *Natica helicina* B r o c c., *Xylophaga dorsalis* T u r t., *Buccinum* sp. და *Cardium* sp. ამ ფაუნის საფუძველზე მეორე დასტას საყარაულოს ჰორიზონტს ვაკუთვნებთ.

მომდევნო დასტები სრულიად უნამარხოა და მხოლოდ მეთოთხმეტე დასტაში ჩნდება ორსაგდულიანების ფაუნა. ამ ჭრილში ძნელია საყარაულოს და კოწახურის ჰორიზონტების ერთმანეთისაგან გამოყოფა რაიმე არსებითი ნიშნით. ჩვენ პირობით 3—10 დასტებს საყარაულოს ვაკუთვნებთ (ე. ი. იმ დონემდე, სა-



ნამ ჭრილში მაიკობის თიხების მსგავსი ნალექები გვხვდება). ასეთი დაშვებით აღნიშნული ჰორიზონტის სიმაღლერე 125 მ უდრის.

დასტები 11-13 (საერთო სისქე 76 მ) პირობითად კოწახურის ჰორიზონტი-სადმი არის მიკუთვნებული.

დასტა 14 ფაუნიდან საყურადღებოა *Cultellus* c.f. *probus* Merkl, რომელიც მხოლოდ თარხნული შრებიდან აღწერა რ. მერკლინმა (1950). აღნიშნული სახე დიდი რაოდენობით გვხვდება სოფ. ბაჯის მიდამოების უდავო თარხნულ ნალექებში.

დასტები 15-16 უთუოდ ჩოკრაკულ ჰორიზონტს უნდა მიეკუთვნოს. ჩოკრაკულ ნალექებს უნდა წარმოადგენდეს აგრეთვე დასტა 15-ის ქვევით არსებული ნაწილი (35 მ), რადგანაც მეზობელ ჭრილში ამ დონეზე დაგროვილი გვაქვს უდავო ჩოკრაკული ფაუნა.

### 5. კრილი სოფ. უსახელოს მიდამოებში

კრილი შედგენილია სოფ. უსახელოსთან, მდ. ლაჯანურის მარჯვენა ნაპირზე. აქ ნალექების შემდეგი თანმიმდევრობაა შემჩნეული:

1. ტიპური მაიკობის თიხები. ხილული სიმაღლერე . . . . . 70 მ  
იქ, სადაც ახალი გზა სოფ. უსახელოსაკენ უხვევს შიშვლდება:

2. წვრილმარცვლოვანი, ნაცრისფერი-მოყვითალო, ფხვიერი ქვიშაქვების, თიხებისა და ქვიშიანი თიხების მორიგეობა. დასტაში იშვიათად მორიგეობს ძლიერ მკვრივი, ნაცრისფერი ქვიშაქვის შუაშრები (0,1—0,2). თიხების ზოგი შუაშრე იაროზიტანია. დასტა მთლიანად არაკარბონატულია . . . . . 25 მ  
ახალი გზისა და სოფლის ძველი გზის გადაკვეთასთან გამოდის:

3. კარბონატული, მოყვითალო-ნაცრისფერი, ფხვიერი და თხელშრებრივი ქვიშაქვები (0,05—0,15 მ) რომელთაც, იშვიათად, ცისფერი თიხები და ქვიშიანი თიხები მორიგეობს. თიხებს ახასიათებს ზოლური აღნაგობა. ამ დასტის ფუძიდან 1,5 მ შევადგოვით: *Nucula nucleus* L., *Leda subfragilis* R. Hoern., *Lima skeliensis* Merkl., *Thyasira flexuosa* Mont. var. *subtriangula* Merkl., *Abra parabilis* Zhizh., *Xylophaga dorsalis* Turt., *Cuspidaria cuspidata* Ol., *Natica helicina* Brocc., *Nassa tamanensis* David., *N. restitutiana* Font. . . . . 10 მ

4. ზევით გრძელდება წინა დასტის მსგავსი მორიგეობა, მაგრამ ამ ნაწილში ქვიშაქვების ზოგი შუაშრების სისქე 0,2—0,3 მ აღწევს. ამ დასტის ფუძიდან 2 მ ჩნდება ძლიერ მკვრივი, მარგანცის თხელი ფენით დაფარული კირქვის ორი შუაშრე (0,1—0,15 მ), რომელიც *Spirialis*-ებით არის გაქედილი, შრეთა დაქანების აზიმუტი NW 310°,  $\angle$  30° . . . . . 8 მ

5. სქელშრებრივი, მოყვითალო-ნაცრისფერი ქვიშაქვების, თხელშრებრივი თიხიანი ქვიშაქვებისა და თიხების მორიგეობა. ფუძესთან ახლოს ნაპოვნია: *Leda* sp., *Thyasira flexuosa* Mont. var. *subtriangula* Merkl., *Abra parabilis* Zhizh., *Donax tarchanensis* (Andrus.) Bajar., *Mactra bajaranasi* Koles., *Xylophaga dorsalis* Turt. . . . . 10 მ

ხარვეზი გაშიშვლებაში . . . . . 2 მ

6. სქელ- და თხელშრებრივი, მოყვითალო ქვიშაქვებისა და ქვიშიანი თიხების მორიგეობა. სქელშრებრივ ქვიშაქვებს ახასიათებს სფერიული გამოფიტვა. ქვიშაქვებიდან შევადგოვით — *Leda subfragilis* R. Hoern., *Tellina sokolovi* (Golub.) Bajar., *Mactra bajaranasi* Koles., *Ervilia praepodolica* Andrus.

უშუალოდ გზის გასწვრივ კრილის შედგენა არ ხერხდება. კრილის აღწერას ვაგრძელებთ სოფ. უსახელოს დასავლეთით, ღვირიშისაკენ მიმავალი მთავარი გზის გასწვრივ. ხარვეზი გაშიშვლებაში . . . . . 25 მ

7. მოყვითალო-ნაცრისფერი, სქელშრებრივი ქვიშაქვებისა და მომწვანო-ყავისფერი ქვიშიანი თიხების (იშვიათად) მორიგეობა. სქელშრებრივი ქვიშაქვებისათვის დამახასიათებელია სფერული გამოფიტვა. დასტა მთლიანად კარბონატულია.



სქელშრეებრივი ქვიშაქვების ზოგი შრე ძლიერ მკვრივია, რის გამოც, მათ საშენ მასალად ხმარობენ. ამ დასტაში იშვიათად გვხვდება ძალიან მკვრივი, მოყავისფრო-ოლითური კირქვების 0,1—0,2 მ შუაშრეები, რომლებიც ხშირად ორსაგდულიანების ფაუნით არის გაჭედული. აღნიშნული კირქვებიდან აღწერეთ და განესაზღვრეთ შემდეგი ფაუნა: *Leda cf. fragilis Chemn.*, *Arca turonica Duj. var. bosphorana David.*, *Pteria mira Zhizh.*, *Modiola sp.*, *Cardium pseudomulticostatum Zhizh.*, *Venus marginata M. Hörn. var. jsmaci Schwetz.*, *Tellina cf. sokolovi (Golub.) Bajar.*, *Abra parabilis Zhizh.*, *Donax tarchanensis (Andrus.) Bajar.*, *Ervilia praepodolica Andrus.*, *Xylophaga dorsalis Turt.*, *Cuspidaria cuspidata Ol.*, *Trochus kertschensis Usp.* . . . . . 12 მ

ხარვეზი გაშიშვლებაში . . . . . 7 მ

8. იგივე, რაც დასტა 7. ამ დასტის ფუძეში ნაპოვნია *Donax tarchanensis (Andrus.) Bajar.*, *Mactra sp.*, *Ervilia praepodolica Andrus.*, *Xylophaga dorsalis Turt.*, *Cuspidaria cuspidata Ol.*, ფუძიდან 40 მ — *Leda fragilis Chemn.*, *Cuspidaria cuspidata Ol.*, *Thyasira sp.*, ხოლო 60 მ — *Leda fragilis Chemn.*, *Ervilia praepodolica Andrus.*, *Corbula gibba Ol.*, *Trochus kertschensis Usp.*, *Cerithium cattleyae Bail.* . . . . . 45 მ

9. თხელშრეებრივი, ძლიერ კარბონატული ცისფერი ქვიშაიანი თიხებისა და ქვიშაქვების მორიგეობა. ქვიშაიან თიხებში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა *Spaniodontella pulchella Bail.*

შრეთა დაქანების აზიმუტი NW 350°, ↗ 40° . . . . . 24 მ

აღწერილ ჭრილში დასტები 1-2 სრული თანხმობით იფარება თარხნული ჰორიზონტის ნალექებით. რადგანაც აქ უწყვეტი ჭრილი გვაქვს, აღნიშნული დასტები, სტრატиграფიული მდებარეობის მიხედვით, კოწახურისა და შესაძლოა ნაწილობრივ საყარაულოს ჰორიზონტების დონეს იჭერდეს.

მესამე დასტაში წარმოდგენილი ფაუნიდან — *Nucula nucleus L.*, *Natica helicina Brocc.*, *Nassa tamanensis David.* დამახასიათებელია თარხნული ჰორიზონტის ნალექებისათვის. დანარჩენი სახეები საერთოა ყირიმ-კავკასიის თარხნულ-ჩოკრაკული ჰორიზონტებისათვის.

დასტა 4 სპირიალისების გარდა სხვა ფაუნას არ შეიცავს. სპირიალისები კი შესაძლოა გვხვდებოდეს როგორც თარხნულში, ისე ჩოკრაკულში. ჩვენ, მეოთხე დასტას, ქვეშმდებარე შრეებთან (დასტა 3) დიდი ლითოლოგიური მსგავსების გამო, პირობითად თარხნულ ჰორიზონტს ვაკუთვნებთ. ამრიგად, თარხნულის სიმძლავრე სოფ. უსახელოსთან 18 მ აღწევს. მეხუთე დასტის ფაუნის კომპლექსიდან — *Tellina sokolovi (Golub.) Bajar.* და *Mactra bajarunasi Koles.* ამ შრეებს ჩოკრაკულად ათარიღებს.

დასტები 6—8, მასში დაცული მდიდარი ფაუნის საფუძველზე, აშკარად ჩოკრაკულ ჰორიზონტს მიეკუთვნება.

განხილულ ჭრილში ჩოკრაკული ჰორიზონტის სისქე 116 მ უდრის.

ამრიგად, სოფ. უსახელოს მიდამოებში დასტები 5—8 ძირითადად სქელშრეებრივი ქვიშაქვებით არის წარმოდგენილი და მთელ სისქეზე შეიცავს ჩოკრაკული ჰორიზონტისათვის დამახასიათებელ ფაუნას. აღნიშნული სქელშრეებრივი ქვიშაქვების დასტა გეოლოგიურ ლიტერატურაში „უსახელოს ქვიშაქვების“ სახელით არის ცნობილი (ს. სიმონოვიჩი, ლ. ბაცევიჩი, ა. სოროკინი (1875) და ბ. მეფერტი (1930)). უსახელოს ქვიშაქვები უწყვეტი ციკაბო კარნიზების სახით ვრცელდება სოფ. უსახელოდან სოფ. აღვამდე და მთელ ამ ზოლში ერთი და იგივე სტრატиграფიული დონე უჭირავს.



უსახელოს ქვიშაქვების ასაკი, მათი სტრატეგრაფიული მოცულობა და ზოგი სხვა საკითხი მკვლევართა შორის აზრთა სხვაობის საგანს წარმოადგენს, რის გამოც მათ დეტალურად ქვევით განვიხილავთ.

დასტა 9 დიდი რაოდენობით შეიცავს კარაგანული ჰორიზონტისათვის დამახასიათებელ *Spaniodontella pulchella* Baily.

## 6. კრილი სოფ. ბაჯთან, მდ. აპანთას ხეობაში

კრილის შედგენის კარგი პირობებია სოფ. ბაჯის საურმე გზისა და მდ. აპანთას გადაკვეთსთან. აქ, აღვწერეთ შემდეგი სურათი:

1. ტიპური მაიკობის თიხები. ხილული სიმძლავრე. . . . . 100 მ  
აღნიშნული თიხები უკიდურეს ზედა ნაწილში (10—15 მ) თანდათან ქვიშიანი ხდება და ხშირად გამოერევა ქვიშაქვის თხელი შუაშრეები (0,02—0,05 მ), რომლებიც ზოგ შემთხვევაში სუსტად კარბონატულია. ამ ნაწილში თიხები კარგავს მათთვის დამახასიათებელ ფურცელა ფიქლებრიობას; იშვიათია იაროზიტის ფიფქი. წინა დასტას სრული თანხმობით აგრძელებს:
2. სპრიალისებიანი ქვიშაქვის შრე, რომლის ზოგი ნაწილი ისე დიდი რაოდენობით შეიცავს სპრიალისებს, რომ კირქვის შთაბეჭდილებას ტოვებს. შიგ: *Nucula nucleus* L., *Leda subfragilis* R. Hoern., *L. pella* L. var. *magna* Zhizh., *Arca* cf. *diluvii* Lam., *Pteria mira* Zhizh., *Amussium denudatum* Reuss, *Lima skeliensis* Merkl., *Ostrea cochlear* Poli, *Taras aff. rotundata* Mont. var. *caucasica* Zhizh., *Cardium aff. pseudomulticostatum* Zhizh., *Cultellus* cf. *probus* Merkl., *Ervilia pusilla* Phil., *Corbula gibba* Ol., *Nassa tamanensis* David., *Turritella* sp., *Natica* cf. *helicina* Brocc., *Calyptraea chinensis* L., *Aporrhais* cf. *pes-pelecani* L., *Spirialis* sp. . . . . 0,45 მ
3. მოშავო კარბონატული ქვიშიანი თიხები. შიგ დიდი რაოდენობით *Nucula nucleus* L., *Amussium denudatum* Reuss, *Corbula gibba* Ol. . . . 0,3 მ
4. ტიპური მაიკობური თიხები . . . . . 0,15 მ
5. ნატრისფერი, ძლიერ კარბონატული ქვიშაქვა. შიგ: *Nucula nucleus* L., *Leda fragilis* Chemn., *Amussium denudatum* Reuss, *Ostrea cochlear* Poli, *Corbula gibba* Ol., *Calyptraea chinensis* L., *Spirialis* sp. . . . 0,5 მ
6. ტიპური მაიკობური თიხები . . . . . 0,1 მ
7. მოყვითალო-ნატრისფერი, წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვა, საიდანაც შევადგროვეთ *Nucula nucleus* L., *Leda fragilis* Chemn., *Amussium denudatum* Reuss, *Cuspidaria cuspidata* Ol., *Spirialis* sp. . . . . 0,2 მ
8. მაიკობის თიხები, რომელსაც შუაშრეების სახით გამოერევა მოყვითალო-ნატრისფერი კარბონატული ქვიშაქვიანი თიხების 0,1 მ სისქის შუაშრეები .... 4 მ
9. მოყვითალო, მკვრივი, სქელშრეებრივი კირქვების, მერგელებისა და ქვიშიანი კირქვების მორიგეობა. ამ დასტის სულ ქვედა ნაწილში შევადგროვეთ — *Leda fragilis* Chemn., *Pteria mira* Zhizh., *Taras rotundata* Mont. var. *caucasica* Zhizh., *Thyasira* cf. *flexuosa* Mont. var. *subtriangula* Merkl., *Cardium cubanicum* Zhizh., *Venus marginata* M. Hörn. var. *jusmaci* Schwetz, *Tapes tauricus* (Andrus.) Bajar. var. *extenuatus* Zhizh., *Donax tarchanensis* (Andrus.) Bajar., *Ervilia praepodolica* Andrus., *Xylophaga* cf. *dorsalis* Turt., *Cuspidaria* cf. *cuspidata* Ol., *Trochus* cf. *kertschensis* Usp., *T. nefas* Koles., შრეთა დაქანების აზიმუტი NW 35°, < 45° . . . . . 40 მ
10. სქელშრეებრივი, მომწვანო-მოყვითალო, ფხვიერი ქვიშაქვების, ქვიშიანი თიხებისა და თიხების მორიგეობა. დასტის მთელ სისქეზე ქვიშაქვებში დიდი რაოდენობით გვხვდება *Spaniodontella pulchella* Baily. ხილული სიმძლავრე 35 მ.

სოფ. ბაჯის კრილი იმით არის განსაკუთრებით საინტერესო, რომ აქ თარხნული ფაუნით მდიდარი შრეები მორიგეობს ტიპურ მაიკობურ თიხებთან.



დასტები 2—8 დიდი რაოდენობით შეიცავს თარხნული ჰორიზონტის სახელმძღვანელო ნამარხებს, როგორიცაა: *Nucula nucleus* L., *Amussium denudatum* Reuss, *Ostrea cochlear* Poli, *Natica helicina* Brocc., *Aporrhais pes-pelecani* L. და სხვ.

დასტა 9 ჩოკრაკული ჰორიზონტისათვის დამახასიათებელი ფაუნის (*Cardium cubanicum* Zhizh., *Taras rotundata* Mont. var. *caucasica* Zhizh., *Tapes tauricus* (Andrus.) Bajar. var. *extenatus* Zhizh., *Venus marginata* M. Hörn. var. *jusmaci* Schwetz, *Ervilia praepodolica* Andrus., *Trochus kertschensis* Usp. და სხვა.) საფუძველზე აშკარად ჩოკრაკულს მიეკუთვნება.

დასტა 10 მთელ სისქეზე შეიცავს (დიდი რაოდენობით) *Spaniodontella pulchella* Bailey-ს, რომელიც ამ დასტის კარავანული ჰორიზონტისადმი მიკუთვნების უფლებას გვაძლევს.

ჭრილების განხილვის შემდეგ გადავალთ მოიცენის ჰორიზონტების ცალკე დახასიათებაზე.

#### ჰმრღა მოიცენი

#### საყარაულოს ჰორიზონტი<sup>3</sup>

საკვლევი რაიონის ფარგლებში პალეონტოლოგიურად დასაბუთებული საყარაულოს ჰორიზონტი გვხვდება ლეჩხუმის დასავლეთ ნაწილში. მისი გამოსავლები ძირითადად დეხვირის ანტიკლინისა და ნაწილობრივ ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთას უკავშირდება. აღნიშნული ნალექები ზოგიერთ ადგილას (სოფ. ჩქუმი-ჭალისთავის ზოლში) სრული თანხმობით ავრძელებს ტიპურ მაიკოპის თიხებს და წარმოდგენილია ძირითადად წვრილმარცვლოვანი, სქელ- და თხელ-შრეებრივი ქვიშაქვებისა და ქვიშიანი თიხების მორიგეობით. ზოგან (ორბელის-სერი) იგი მთლიანად არის ფაციესურად შეცვლილი მაიკოპური თიხებით, რომელსაც იშვიათად გამოერევა საყარაულოს ფაუნის შემცველი კარბონატული თიხების შუაშრეები.

ლეჩხუმში საყარაულოს ჰორიზონტი პალეონტოლოგიურად პირველად დაასაბუთა შ. კიტოვანმა მდ. ცხენისწყლისა და მდ. ლაჯანურის წყალგამყოფზე (ორბელის-სერი). აქ მაიკოპური თიხების ფუძიდან დაახლოებით 100 მ სიმაღლეზე, მუქი კარბონატული თიხებიდან ე. ვახანია (1959) აღნიშნავს: *Glycymeris deshaysi* Mayer, *Natica helicina* Brocc., *Xylophaga dorsalis* Turt., *Buccinum* sp., *Cardium* sp., *Ostrea* sp., *Terebra* sp. გარდა ამისა, თიხებში აღმოჩნდა სოფ. კვეზანის პენტუნიკულუსებიანი შრეებისათვის (საყარაულოს ჰორიზონტი) დამახასიათებელი მიკროფაუნა—*Nonion sakaraulensis* Djan., *Elpidium mariae* Artchv., *E. kvesanense* Artchw., *Bulimina elongata* d'Orb., *B. caprolitoides* Andre, *Discorbis* sp.

შემდეგში ე. ვახანია და დ. პაპავა (1957) სოფ. წიფერჩის<sup>4</sup> მიდამოების მაიკოპის თიხებსა და რზეპაკიებიან შრეებს შორის გამოპოვეს შრეებს, რომ-

<sup>3</sup> მოიცენური ნალექების განხილვისას ჩვენ ვეყარებით იმ სტრატეგრაფიულ სქემას, რომელსაც რეკომენდაციას უწევს სსრკ სტრატეგრაფიული კომიტეტის ნეოგენური კომისია.

<sup>4</sup> ე. ვახანიამ და დ. პაპავამ ჭრილი შეადგინეს მდ. ჯონოულასა და მდ. ცხენისწყლის წყალგამყოფზე, რომელიც მთლიანად სოფ. წიფერჩის ტერიტორიას ეკუთვნის. ამ უბანში შედგენილ ჭრილს აღნიშნული მკვლევარები სოფ. ჩქუმის ჭრილს უწოდებენ.



ლის ქვედა ნაწილიდან ასახელებენ ქვედა მიაოცნურ მიკროფაუნას, ხოლო, ზედა ნაწილიდან — *Glycymeris* sp.

ხსენებულმა მკვლევრებმა ზემოაღნიშნული ფაუნის შემცველი შრეები, პალეონტოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით და სტრატეგრაფიული დონის გათვალისწინებით, საყარაულოს პორიზონტს მიაკუთვნეს.

ა. ლალიევი (1964) სოფ. ბარდნალის მიდამოებში საყარაულოს პორიზონტის არსებობას ადასტურებს ახალი პალეონტოლოგიური მასალით — *Cardium* c f. *discrepans* B a s t., *Natica* c f. *burdigalensis* M a y e r, *Leda* a f f. *fragilis* C h e m n., *Cardium* sp., *Ostrea* sp., *Chlamys* sp., *Perma* (?), Sp., *Pinna* sp., *Corbula* (?) sp.

ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა საყარაულოს პორიზონტის ფაუნისა და შრეები გვენახა სოფ. ჩქუმის მახლობლად — საზღვარღელეში. ამავე დროს დამატებითი პალეონტოლოგიური მასალა შევაგროვეთ ორბელის-სერისა და სოფ. ბარდნალის მიდამოებში (იხ. ჭრილები 1, 2 და 4). აღნიშნულ უბნებიდან განსაზღვრული გვაქვს: *Nucula burdigalica* C o s s m. et P e y r., *Leda fragilis* C h e m n., *Arca turonica* D u j., *A. diluvii* L a m., *Glycymeris* c f. *deshayesi* M a y e r, *G. cor.* L a m., *Cardium* c f. *multicostatum* B r o c c., *Turritella* c f. *turris* B a s t.

ზემოთ დასახელებული 10 ფორმიდან (მხედველობაში გვაქვს სახემდე განსაზღვრული მოლუსკური ფაუნა) 9 ცნობილია აღმოსავლეთ საქართველოს საყარაულოს პორიზონტიდან, რომლის ასაკი დამაჯერებლად არის დათარიღებული ბურდიგალურად (კორობკოვი, 1939; ხარატიშვილი, 1952; კერესელიძე, 1955, 1960). ერთი სახე — *Arca* c f. *diluvii* L a m. პირველად აღვწერეთ საყარაულოს ნალექებიდან. დასავლეთ ევროპაში მას დიდი სტრატეგრაფიული გავრცელება აქვს, აქვითანიურიდან — ზედა ტორტონულის ჩათვლით.

ხსენებულ ზოლში, მაიკოპის თიხებისა და ზემოაღნიშნული ფაუნის შემცველ შრეებს შორის მოთავსებულია 4—6 მ სისქის უნამარხო დასტა (იხ. ჭრილები 1 და 2), რომელიც ლითოლოგიური მსგავსების გამო მივაკუთვნედ საყარაულოს პორიზონტს. ეს დაშვება სრულიად პირობითია და მოსალოდნელია ხსენებული უფაუნო შრეები ჯერ კიდევ ოლიგოცენს ეკუთვნოდეს. მეორე მხრივ, არც ის არის გამორიცხული, რომ მაიკოპის თიხების ზედა ნაწილი საყარაულოს მოიცავდეს. ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ ლეჩხუმში, ისევე როგორც ყირიმ-კავკასიის სხვა უბნებში, ოლიგოცენური ასაკის მაიკოპის თიხებსა და საყარაულოს პორიზონტს შორის ზუსტი საზღვრის გავლება არ ხერხდება. საზღვრის გატარებას განსაკუთრებით აძნელებს ის გარემოება, რომ მაიკოპის თიხების ზედა ნაწილები მთლიანად მოკლებულია ფაუნას. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ მართალია, მკვლევრები საყარაულოს პორიზონტის ნალექებს ბურდიგალურად თვლიან, მაგრამ ჯერ კიდევ დაუსაბუთებელია მოიცავს თუ არა ის მთელ ბურდიგალურს, თუ უკანასკნელის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს.

ლეჩხუმში საყარაულოს პორიზონტის ნალექების ზედა საზღვრად მიჩნეულია ის დონე, სადაც უწყვეტ ჭრილებში პირველად გამოჩნდება კოწახურის პორიზონტისათვის დამახასიათებელი ფაუნის კომპლექსი (*Rzehakia socialis* (R z.), *Eoproso-dacna cartlica* D a v i d. და სხვ.). ასეთი დასკვნა მართებული ჩანს იმიტომაც, რომ წიფერჩის სერზე უშუალოდ რზეჰაკიებიანი (ონკოფორებიანი) შრეების ქვეშ ე. ვახანია (1959) აღნიშნავს *Glycymeris* sp.-ს. ამ დონეზე ამ ნამარხის არსებობა უთუოდ იმაზე მიგვითითებს, რომ შემცველი შრეები ჯერ კიდევ საყარაულოს ნალექებს ეკუთვნის. ღებვირის ანტიკლინის დიდ ნაწილში კოწახურის პორიზონ-



ტის ფაუნა მოქცეულია სქელშრეებრივ, თითქმის მასიურ ქვიშაქვებში (სფერიული გამოფიტვით), რომელიც კარგ სამარკირო შრეებს წარმოადგენს ზემოხსენებულ ნალექებს შორის საზღვრის გატარებისას.

საყარაულოს ჰორიზონტი სოფ. ჩქუმისა და სოფ. წიფერჩის მიდამოებში ლითოლოგიური შედგენილობის მიხედვით ორად იყოფა. წყების ქვედა ნაწილი (50 მ) ძირითადად სქელშრეებრივი, წვრილმარცვლოვანი, მოყვითალო-ნაცრისფერი ქვიშაქვებისა და ქვიშიანი თიხების შუაშრეების მორიგეობით არის წარმოდგენილი. ამ ნაწილში ძალიან ხშირია თევზის ქერცლები და მაიკობის თიხებისათვის დამახასიათებელი ქვერისებური ფორმის (0,5—2,5 მ) სეპტარიები. მოშავო, კარბონატული ქვიშიანი თიხები შეიცავს ზემოაღნიშნულ, საყარაულოსათვის დამახასიათებელ მაკრო- და მიკროფაუნას. როგორც ქვიშაქვები, ისე თიხები შრეებრიობის სიბრტყის გასწვრივ მცენარეული დეტრიტუსით ხშირად არის მოფენილი.

წყების ზედა ნაწილი (130 მ) წარმოდგენილია თხელშრეებრივი ქვიშაქვების, ქვიშიანი თიხებისა და თიხების მორიგეობით, აქ აღარ გვხვდება თევზის ქერცლები და სფერიული კონკრეციები, იშვიათია მცენარეული დეტრიტუსი. აქ დასტა თითქმის მთლიანად არაკარბონატულია და მხოლოდ ძალიან იშვიათად გამოერევა სუსტად კარბონატული თიხების შუაშრეები.

სოფ. წიფერჩის აღმოსავლეთით შეიმჩნევა ქვიშაქვების თანდათან შემცირება და სოფ. ბარდნალა-ჭალისთავის ზოლში საყარაულოს ჰორიზონტი ძირითადად წარმოდგენილია 80—105 მ სისქის თხელშრეებრივი ქვიშაქვების, ქვიშიანი თიხებისა და თიხების მორიგეობით. არ ხერხდება ამ ნალექების ორ წყებად გაყოფა.

ორბელის-სერზე (ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთა) საყარაულოს ჰორიზონტის ნალექები წარმოდგენილია ძირითადად მაიკობის თიხებით, რომლებსაც იშვიათად გამოერევა მუქი, ძლიერ კარბონატული ქვიშიანი თიხებისა და თხელშრეებრივი ქვიშაქვების შუაშრეები (იხ. ჭრილი 4). თიხებთან დაკავშირებულია ამ ჰორიზონტისათვის დამახასიათებელი მიკროფაუნა.

ამრიგად, განხილულ ზოლში კარგად ჩანს (დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ) საყარაულოს ჰორიზონტის ქვიშიან-თიხიანი ნალექების ფაციესური შეცვლა ტიპური მაიკოპური თიხებით.

მაიკობის თიხები გრძელდება ორბელის-სერის აღმოსავლეთით სოფ. ორბელამდე, მაგრამ ცუდი გაშიშვლებების გამო ამაზე მეტის აღნიშვნა არ შეიძლება.

სოფ. ლაჯანდან გველისთავის მიდამოებამდე, ა. ჯანელიძის (1940) მიხედვით, ჩოკრაკული ნალექები ტრანსგრესიულადაა განლაგებული ცარცისა და ნაწილობრივ ეოცენის სხვადასხვა ჰორიზონტებზე. ე. ვახანიასა და დ. პაპავას მონაცემებით კი აღნიშნულ მონაკვეთზე თარხნულ-ჩოკრაკული ნალექები თანხმობით აგრძელებს მაიკობის თიხებს, რომლის ზედა ნაწილში ავტორები საყარაულოსა და კოწახურის ჰორიზონტებს გულისხმობენ.

ტიპური მაიკობის თიხების გამოსავლები ხელმეორედ შიშვლდება სოფ. მალისა და გველისთავის მიდამოებში, საიდანაც უწყვეტად გრძელდება საკვლევი რაიონის დასავლეთ საზღვრამდე (მდ. ასკისწყლის ხეობა). აქ, მაიკობის თიხების როგორც ფუძე, ისე ზედა ნაწილი დაფარულია და სრულიად გაურკვეველია მათი ურთიერთობა მეზობელ ნალექებთან.

ლეჩხუმის სინკლინის სამხრეთ ფრთაში საყარაულოს ჰორიზონტის პალეონტოლოგიური დასაბუთება არ ხერხდება. ამ ზოლში ნალექების არსებობა მხოლოდ მათი სტრატиграფიული მდებარეობით შეიძლება დადგინდეს. ლეჩხუმის



სრულ ჭრილებში მაიკოპის წყება მოთავსებულია ზედა ეოცენის ნალექებსა და ფაუნისტურად კარგად დახასიათებულ თარხნულ ჰორიზონტს შორის. უკანასკნელი სრული თანხმობით აგრძელებს მაიკოპის თიხებს.

ბუნებრივია, რომ ასეთი უწყვეტი ჭრილების შემთხვევაში მაიკოპური წყების ზედა ნაწილში საყარაულოსა და კოწახურის ჰორიზონტები ვიგულისხმობთ (ჟიჟიჩენკო, 1940; ვარენცოვი, 1950; ვახანია, 1959; ლალიევი, 1964; ბულიშვილი, 1960; კვალიაშვილი, 1960, 1962 და სხვ.).

#### შუა მიოცენი

#### კოწახურის ჰორიზონტი

საკვლევ ტერიტორიაზე ფაუნისტურად დახასიათებული კოწახურის ჰორიზონტი დიდხანს არ იყო ცნობილი.

ნალექების პირველი პალეონტოლოგიური დასაბუთება მოცემული აქვთ ე. ვახანიასა და დ. პაპავას (1957). მკვლევრები სოფ. წიფერჩის ჩრდილოეთით *Glycymeris* sp-ის შემცველ შრეებსა და თარხნულ ნალექებს შორის გამოყოფენ დასტას, რომლის ზედა ნაწილიდან აღნიშნავენ: *Rzehakia socialis* (R z.), *Cardium* c f. *cartlicum* David., *Congerina* c f. *transcaucasica* David. ფაუნის ეს კომპლექსი დამახასიათებელია კოწახურის ჰორიზონტისათვის.

შემდეგ ა. ლალიევმა (1964) მდ. ნამკაშურის ხეობაში, ხოლო გ. კვალიაშვილმა (1962) სოფ. ლუხვანოს მიდამოებში დაადასტურეს კოწახურის ჰორიზონტის არსებობა.

კოწახურის ნალექებისათვის დამახასიათებელი ფაუნა ვიპოვნეთ სოფლების ქულბაქის, ჩქუმის, წიფერჩის, ჭალისთავის და ლარჩვალის-სერის მიდამოებში.

კოწახურის ჰორიზონტის ქვედა საზღვრის საკითხს უკვე შევეჩვით საყარაულოს ნალექების განხილვისას. ზედა საზღვარი მეტისმეტად მკაფიოდაა გამოსახული. რა ფაციესითაც არ უნდა იყოს ხსენებული ჰორიზონტი წარმოდგენილი (სქელ-და თხელშრეებრივი ქვიშაქვებით თუ მაიკოპური თიხებით), იგი ყველგან სრული თანხმობით იფარება ძლიერ კარბონატული, ქვიშიანი თიხებისა და თხელშრეებრივი ქვიშაქვების მორიგეობით, რომელთანაც თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია თარხნული ფაუნა. კოწახურის ჰორიზონტის ნალექები უწყვეტი, მაღალი კარნიზების სახით მიუყვება დეხვირის ანტიკლინის თითქმის მთელ ჩრდილო ფრთას. იგი სოფლების ქულბაქის, ჩქუმის, წიფერჩისა და ბარდნალას მიდამოებში ძირითადად წარმოდგენილია, მოყვითალო-ნაცრისფერი ქვიშაქვებით, რომელთანაც მორიგეობენ უმეტეს შემთხვევაში არაკარბონატული, თიხიანი ქვიშაქვების, თხელშრეებრივი ქვიშაქვებისა და თიხების შუაშრეები. სქელშრეებრივი ქვიშაქვებისათვის დამახასიათებელია (0,2—1,5 მ დიამეტრის) სფერული გამოფიტვა და ერთ ხაზზე ორიენტირება. სფერული სხეულები ძალიან მკვრივია და კარბონატული, მაშინ როცა ქვიშაქვების ძირითადი მასა, რომელშიც იგი თანდათან გადადის, ფხვიერი და არაკარბონატულია. ისინი თავისი სიმტკიცის გამო ყოველთვის დადებით რელიეფს ჰქმნიან, რაც უდავოდ შერჩევითი გამოფიტვის შედეგი უნდა იყოს. ქვიშაქვები, განსაკუთრებით კი თიხიანი ქვიშაქვები, ხშირად არის მოფენილი შრეებრიობის სიბრტყის გასწვრივ მცენარეული დეტრიტუსით. იშვიათად შეიმჩნევა ნახშირის 0,05 — 0,1 მ სისქის ლინზები.

ჩვენი მონაცემებით კოწახურის ჰორიზონტის სიმძლავრე სოფ. ჩქუმის მიდამოებში 120 მ უდრის, ხოლო სოფ. ბარდნალასთან 75—80 მ მცირდება.



მდ. ნამკაშურის ხეობაში (სოფ. ჭალისთავის მიდამოები) კოწახურის ჰორიზონტის ნალექების (80 მ) უმეტესი ნაწილი ფაციესურად იცვლება რზეჰაკიების ფაუნის შემცველი თხელშრეებრივი, არაკარბონატული ქვიშიანი თიხების, თიხებისა და ქვიშაქვების (იშვიათად) მორიგეობით და მხოლოდ უკიდურეს ზედა 20 მ ვხვდებით სქელშრეებრივ (3 მ-დე) ქვიშაქვებს.

ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთაში კოწახურის ჰორიზონტის ფაუნა ცნობილია სოფ. ზემო ლუხვანოს მიდამოებში. აქ, სქელშრეებრივი ქვიშაქვებიდან გ. კვალიაშვილი (1962) აღნიშნავს: *Rzehakia socialis* (R z.), *Eoprosodacna cartlica* D a v i d., *E. makae* K v a l., *Eoprosodacna* sp., *Melanopsis* sp. კოწახურის ნალექების სიმძლავრე 80 მ აღწევს.

სოფ. ლუხვანოს აღმოსავლეთით კოწახურის ჰორიზონტის არსებობა მხოლოდ მისი სტრატეგრაფიული მდებარეობით დგინდება: იგი მოთავსებულია ფაუნით დახასიათებულ საყარაულოსა და თარხნულ ჰორიზონტებს შორის. კოწახურის ჰორიზონტი წარმოდგენილია მოყვითალო-ნაცრისფერი სქელ- და თხელშრეებრივი და ქვიშიანი თიხების მორიგეობით. უკანასკნელი ხშირად ინტენსიურად შეღებილი რკინის ქანგით, რითაც იგი ძალიან ჰგავს მაიკოპის თიხებს. სქელშრეებრივი ქვიშაქვების ზოგი შრე დიდი რაოდენობით შეიცავს როგორც მცენარეულ, ისე ფაუნურ დეტრიტუსს.

ორბელის-სერთან კოწახურის ჰორიზონტს მიეკუთვნება თარხნული ნალექების ქვეშემდებარე 76 სიმძლავრის, სქელ-და თხელშრეებრივი ქვიშაქვების დასტა, რომელიც მაკროსკოპიულად დიდ მსგავსებას იჩენს ლეჩხუმის დასავლეთ ნაწილში განვითარებულ ასეთსავე ნალექებთან.

ორბელის-სერის აღმოსავლეთით, არასაკმარისი გაშიშვლებების გამო, ჩოკრაკულზე უფრო ძველ ნალექებზე დაკვირვებები არ ხერხდება.

ლეჩხუმის სინკლინის სამხრეთ ფრთაში, ლარჩვალის-სერზე, პალეონტოლოგიურად დასაბუთებული კოწახურის ჰორიზონტი გვხვდება. აქ მაიკოპის მსგავს თიხებს თანხმობით აგრძელებს სქელ- და თხელშრეებრივი ქვიშაქვების დასტა, რომელთანაც იშვიათად მორიგეობს თხელშრეებრივი ქვიშიანი თიხების შუაშრეები.

ე. ვახანია, დ. პაპავამ (1957) და გ. გუჯაბიძემ აღნიშნულ სქელშრეებრივ ქვიშაქვებში შეაგროვეს რზეჰაკიები, რის საფუძველზეც ამ ფაუნის შემცველი შრეები კოწახურის ჰორიზონტს მიაკუთვნეს. მათ ფაუნა ნახეს სქელშრეებრივი ქვიშაქვების დასტის ფუძეში, საიდანაც იწყება კიდევ კოწახურის ჰორიზონტი. ამგვარად, საზღვრის გავლება პირობითია, რადგანაც არ არის გამორიცხული, რომ რზეჰაკიების შემცველი შრეების ქვეშემდებარე ნალექებიც კოწახურს ეკუთვნოდეს. ზედა საზღვარს ე. ვახანია და დ. პაპავა იქ ატარებენ, სადაც უწყვეტ გაშიშვლებაში სქელშრეებრივი ქვიშაქვები (სფერული გამოფიტვით) თავდება. მათი მონაცემებით კოწახურის ნალექების სიმძლავრე ლარჩვალის-სერზე 100—120 მ უდრის.

აღნიშნულ სერზე კოწახურის ჰორიზონტისათვის დამახასიათებელი ფაუნის კომპლექსი შევადგოვეთ როგორც სქელშრეებრივი ქვიშაქვების ფუძესთან, ისე ფუძიდან 40 მ სიმაღლეზე. ზევით რჩება 25 მ სისქის უნამარხო შრეები, რომელსაც თანხმობით მოსდევს ძლიერ კარბონატული თიხები და ქვიშიანი თიხები თარხნული ფაუნით. უკანასკნელი სრული თანხმობით იფარება ჯერ თხელშრეებრივი, ხოლო შემდეგ სქელშრეებრივი (მასიური) ჩოკრაკული ნალექებით.



ლარჩვალის-სერზე კოწახურის ნალექების სიმძლავრე 65 მ არ აღემატება. როგორც ჩანს ე. ვახანიამ და დ. პაპავამ კოწახურის ჰორიზონტს მიაკუთვნეს ჩოკრაკული ასაკის სქელშრეებრივი მასიური ქვიშაქვები (სფერიული გამოფიტვით), რომელიც გარეგნულად არაფრით არ განსხვავდება კოწახურის ქვიშაქვებისაგან (სურ. 3).

ლარჩვალის-სერიდან ნალექები ერთხანს ციცაბო კარნიზების სახით მიემართება სამხრეთ-აღმოსავლური მიმართულებით, ხოლო შემდეგ სქელი დელუვიონით იფარება. სოფ. ლარჩვალთან შედგენილ ჭრილში (ცაგერი-ზუბის მთავარი გზა) მაიკოპურ თიხებს თანხმობით მოჰყვება თარხნული ნალექები. ამრიგად, ლარჩვალის-სერსა და სოფ. ლარჩვალს შორის კოწახურის ჰორიზონტის ქვიშაქვები ფაციესურად ტიპიური მაიკოპის თიხებით იცვლება.

ლეჩხუმის სინკლინის სამხრული ფრთის მთელ დანარჩენ ზოლში, სადაც კი შესაძლებელია მიოცენის ქვედა ჰორიზონტებზე დაკვირვებების წარმოება, მაიკოპურ თიხებს ყველგან სრული თანხმობით აგრძელებს ფაუნით დათარიღებული თარხნული ნალექები. აქედან გამომდინარე, თუ გავიზიარებთ აზრს, რომ კოწახურის ჰორიზონტი დამოუკიდებელ სტრატиграფიულ ერთეულს წარმოადგენს, მაშინ აღნიშნულ ზოლში თარხნული ნალექების ქვეშ ყველგან კოწახურის ანალოგები უნდა ვიგულისხმოთ.

#### თარხნული ჰორიზონტი

ლეჩხუმში თარხნული ნალექები პირველად ე. ვახანიამ (1948) დაადგინა. მკვლევარი სოფ. უსახელოსა და სოფ. სურმუშის მიდამოებში გავრცელებულ ე. წ. უსახელოს ქვიშაქვების ქვედა ნაწილიდან ასახელებს ღარიბ თარხნულ ფაუნას. ამის შემდეგ აღნიშნული მკვლევარი დ. პაპავასთან (1957) ერთად მდ. ცხენისწყლის და მდ. ჯონოულას წყალგამყოფზე (რზეჰაკიებიანი შრეების ზევით) გამოყოფს 11 მ სისქის თიხის დასტას, რომლიდანაც აღნიშნავს: *Natica helicina* Brocc., *Turbonilla brevis* Reuss, *Nassa restitutiana* Font. ამ ფაუნიდან პირველი ორი ფორმა თარხნულის სახელმძღვანელო ნამარხებადაა მიჩნეული. ხსენებული ავტორები ლეჩხუმის სხვა უბნებიდან თარხნულ ფაუნას არ ასახელებენ, მაგრამ ამ ჰორიზონტის არსებობა შესაძლებლად მიაჩნიათ ლეჩხუმის სინკლინის ორივე ფრთაში მაიკოპის წყებასა და ჩოკრაკულ ნალექებს შორის.

ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს ა. ლალიევი (1964) მთელი ლეჩხუმისათვის, ხოლო გ. კვალიაშვილი (1962) — დეხვირის ანტიკლინის ჩრდილო ფრთისათვის.

რადგანაც თარხნული ნალექები ყველაზე სრულად დეხვირის ანტიკლინის ჩრდილო ფრთაში არის განვითარებული, ამიტომ ამ ჰორიზონტის განხილვას სოფ. ჩქუმის მიდამოებიდან დავიწყებთ.

სოფ. ჩქუმის ჩრდილოეთით (საზღვარ-ლეღეში) თარხნული ჰორიზონტი წარმოდგენილია 51 მ სიმძლავრის დასტით, რომელიც სრული თანხმობით აგრძელებს კოწახურის სქელშრეებრივ ქვიშაქვებს და თანხმობითვე იფარება ჩოკრაკული ნალექებით. წყების ქვედა ნაწილში (15 მ) მორიგეობს თხელშრეებრივი, ძლიერ კარბონატული ქვიშიანი თიხები და თიხები. იგივე ქანებია ზედა ნაწილში. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ, ნალექებს მერგელების შუაშრეები ემატება. თხელშრეებრივი დასტები ერთმანეთისაგან გამოყოფილია 20 მ სისქის უნამარხო სქელ- და თხელშრეებრივი ქვიშაქვებით.



თარხნული ფაუნა პირველად ნალექების ქვედა, თხელშრეებრივ ნაწილში გვხვდება, ფუძიდან 2 მ სიმაღლეზე. ამ დონეზე შევავსოვით: *Nucula nucleus* L., *Leda fragilis* Chemn., *Chlamys* sp., *Ostrea gryphoides* Schloth., *O. cochlear* Poli., *Thyasira* sp., *Cardium* aff. *praeachinatum* Hilb., *Venus gallina* L. var. *Fried.*, *Pitar islandicoides* Lam., *Abra parabilis* Zhizh.

ამ ფაუნის კომპლექსიდან *Nucula nucleus* L. და *Ostrea cochlear* Poli დღემდე ითვლება თარხნული ჰორიზონტის სახელმძღვანელო ნიმარხებად (ლ. დავითაშვილი, 1932; ე. ლივეროვსკაია 1937; შ. ჟიჟენკო, 1957 და სხვ.). მიუხედავად ამისა, ზოგ მკვლევარს სადაოდ მიაჩნია ამ ნალექების თარხნულობა.

ზემოხსენებული ორი ფორმის გარდა აქ გვხვდება *Ostrea gryphoides* Schloth., რომელსაც ხშირად აღნიშნავენ სსრკ-ის სამხრეთ ნაწილში გავრცელებულ ე. წ. „ოსტრეებიან შრეებში“. მკვლევრებმა (მ. ვარენცოვი, 1950; მ. ზინოვიევი, 1953; მ. ნოსოვსკი, 1953; ა. იანშინი, 1953; კ. სულთანოვი, 1955; ა. ალიზადე, 1959; ი. მოლიაკო, 1959; გ. ანანიაშვილი, 1959—62, 1964, ზ. სახელაშვილი, 1960; ო. ჯანელიძე, 1964; და სხვ.) ეს შრეები თარხნული ჰორიზონტის სანაპირო ზღვის ფაციესად მიიჩნიეს.

*Pitar islandicoides* Lam. რ. მერკლინისა და ლ. ნევესკაიას (1955) მონაცემებით გვხვდება დასავლეთ უკრაინისა და მოლდავეთის ტორტონულში, ჩრდილო უსტურტის ოსტრეებიან შრეებში, უკრაინის ბუგლოვის შრეებში (კონკურ) და უსტურტის სართავანულ ნალექებში. ამავე სახეს ა. იანშინი (1953) აღნიშნავს უსტურტის ჩოკრაკული ჰორიზონტიდან. ამრიგად, ეს ფორმა ცნობილია შუამიოცენის სხვადასხვა დონეზე და ბუნებრივია, რომ სტრატиграფიული დასკვნებისათვის მას არ შეიძლება ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

*Venus gallina* L. ტორტონულ ფორმად არის მიჩნეული.

*Cardium* aff. *praeachinatum* Hilb. სტრატиграფიული საკითხების გადაწყვეტისათვის გამოუსადეგარია.

2 სახე *Abra parabilis* Zhizh. და *Leda fragilis* Chemn. საერთოა ყირიმ-კავკასიის თარხნულ-ჩოკრაკული ნალექებისათვის.

განსაკუთრებით საინტერესოა *Thyasira* sp., რომელიც თარხნულზე უფრო ძველი ნალექებიდან დღემდე არ არის ცნობილი.

ამრიგად, ამ შრეებში ნაპოვნი ზოგი ფორმა წარმოადგენს თარხნულის სახელმძღვანელო ნიმარხს, სხვები არ გვხვდება თარხნულზე უფრო ძველ ნალექებში, დანარჩენები კი ან საერთოა თარხნულ-ჩოკრაკული ნალექებისათვის, ან არა აქვს გარკვეული სტრატиграფიული ღირებულება.

ყოველივე ზემოხსენებულიდან აშკარაა, რომ ამ ნალექების ასაკი მხოლოდ თარხნული შეიძლება იყოს.

ამ შრეების ზევით 49 მეტრზე ზედა თხელშრეებრივი დანტის სულ ზედა ნაწილიდან განსაზღვრულია: *Nucula nucleus* L., *Leda fragilis* Chemn., *L. pella* L. var. *magna* Zhizh., *Arca diluvii* Lam., *Pinna* sp., *Perna* sp., *Amussium denudatum* Reuss, *Lima skeliensis* Merkl., *Ostrea gryphoides* Schloth., *O. gryphoides* Schloth. var. *minor* Zinov., *O. gryphoides* Schloth. var. *gingensis* Schloth., *O. cochlear* Poli., *Mytilus* aff. *fuscus* M. Hörn., *Cardium impar* Zhizh., *Cardium centumpanium* Andrus., *Venus marginatus* M. Hörn. var. *jusmaci* Schwet z., *Pitar islandicoides* Lam., *Rzehakia socialis* (R z.).



*Cuspidaria* cf. *cuspidata* Ol., *Natica helicina* Brocc., *Calyptraea chinensis* L., *Aporrhais pes-pelecani* L., *Nassa tamanensis* David, *N. reitutiana* Font., *Pleurotoma neutra* Liver. ამ ფაუნიდან თუ გამოვრიცხავთ ისეთებს, რომლებსაც არა აქვს გარკვეული სტრატეგრაფიული ღირებულება, დარჩება თარხნულის სახელმძღვანელო ნამარხების მნიშვნელოვანი რაოდენობა (7 სახე). განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნულ ფაუნასთან ერთად გვხვდება *Rzehakia socialis* (R z.), რომელიც ზოგი მკვლევრის (გ. კვალიაშვილი, 1962) მონაცემებით არსად არ გვხვდება ჰელეციურზე (კოწახურის ჰორიზონტი + „გორის ჰორიზონტი“) უფრო ახალგაზრდა ნალექებში. უკანასკნელ მოსაზრებას ეწინააღმდეგება სოფლების ჩქუმის, წიფერჩის და ნამკაშურის კრილები, სადაც რზეჰაკიები მოქცეულია ტიპურ თარხნულ ფაუნასთან ერთად. კ. ბაღდასარიანი (1959) რზეჰაკიებს (კითხვითი ნიშნით) აღნიშნავს სოფ. ჭვალის თარხნული ნალექებიდან. ამავე სოფლიდან და მდ. ინწრას ხეობიდან 1961 წ. ზაფხულში ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა შეგვეგროვებინა კარგად დაცული *Rzehakia socialis* (R z.) თარხნული ჰორიზონტისათვის დამახასიათებელ ისეთ ფორმებთან ერთად, როგორიცაა *Nucula nucleus* L., *Amussium denudatum* Reuss, *Ostrea cochlear* Poli, *Aporrhais pes-pelecani* L., *Natica helicina* Brocc. და მრავალი სხვა.

ამრიგად, რზეჰაკიების არსებობა თარხნულ ნალექებში დღეისათვის უდავო ფაქტს წარმოადგენს. აღნიშნული გარემოების მიუხედავად, ვფიქრობთ, რზეჰაკიებს არ დაუკარგავს თავისი სტრატეგრაფიული მნიშვნელობა, ისინი თარხნულ ნალექებში დიდ იმეფიანობას წარმოადგენენ, კოწახურის ნალექებში კი ხშირად ლუმაშელს ჰქმნის და თითქმის მთელ სისქეზე გვხვდებიან დიდი რაოდენობით. რზეჰაკიები გარკვეული მნიშვნელობით შესაძლოა სპანიოდონტელებს ან ბარნებს შევადაროთ, რომელთა თითო-ოროლა წარმომადგენელი მართალია მოსაზღვრე ნალექებშიც გვხვდება, მაგრამ ძირითადად განსაზღვრული ჰორიზონტების (შესაბამისად, კარაგანულისა და კონკურის) დამახასიათებელ ფორმებს წარმოადგენენ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ საზღვარ-ღელის და წიფერჩის-სერის კრილებში ტიპურ თარხნულ ფაუნასთან ერთად ვხვდებით დიდტანიან ოსტრეებს (*Ostrea gryphoides* Schloth.).

ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ზოგი მკვლევარი საერთოდ უარყოფს ოსტრეებიანი შრეების თარხნულ ასაკს.

საზღვარ-ღელის კრილში თარხნული ფაუნის ვერტიკალურ განაწილებას თუ დაუუკვირდებით, დავინახავთ, რომ ნალექების ქვედა ნაწილში, როგორც სახეობრივად, ისე რაოდენობრივად ფაუნა ღარიბია, ზედა ნაწილში კი აშკარაა თარხნულისათვის დამახასიათებელი სახეების სიმრავლე.

ფაუნის ზემოაღნიშნული ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ ის აუზი, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ, მარილიანობის მიხედვით ნორმული ან მასთან ახლოს მდგომი ზღვა უნდა ყოფილიყო. მკვლევართა უმეტესობა თარხნულ ზღვას სწორედ ასეთ აუზად მიიჩნევს.

ამრიგად, განხილული ნალექები როგორც სტრატეგრაფიული მდებარეობით, ისე მასში დაცული სახელმძღვანელო ნამარხებისა და ჰიდროლოგიური რეჟიმის მიხედვით თარხნულს უნდა წარმოადგენდეს.

სოფ. ჩქუმის აღმოსავლეთით, წიფერჩის-სერზე, თარხნული ნალექების ხასიათი თითქმის უცვლელი რჩება; აქაც გაირჩევა ქვედა და ზედა თხელშრებიერივი დასტა, რომელიც სქელშრებიერივი ქვიშაქვების უნამარხო დასტით



(15 მ) არის გაყოფილი. თარხნულის სიმძლავრე წიფერჩის სერთან 45 მ მცირდება. აქაც ტიპურ თარხნულ ფაუნასთან ერთად ნაპოვნია დიდტანიანი ოსტრეები (*Ostrea gryphoides* Schloth., *O. gryphoides* Schloth. var. *gingensis* Schloth.) და *Rzehakia socialis* (R z.).

გ. კვალიაშვილი (1962) სოფ. ჩქუმის ჭრილის დიდტანიანი ოსტრეების შემცველ შრეებს (ზედა თხელშრეებრივი დასტა) „გორის ჰორიზონტის“ ანალოგად თვლის. აღნიშნულ მკვლევარს სოფ. ჩქუმის მიდამოებში უწარმოებია არც თუ ისე დეტალური დაკვირვებები, რაც მისივე შრომიდან ჩანს — «Между отложениями коцахурского и чокракского горизонтов залегает пачка карбонатных глин, граувакко-аркозовых песчаников и песчанистых мергелей. В средней части этой пачки, в песчанистом мергеле встречаются: *Rzehakia socialis* (R z.), *Pitar islandicoides* (L m k.), *Natica* sp. обломки крупных устриц и др. Надо думать, что этот мергель и породы находящиеся между ним и коцахуром соответствует горийскому горизонту, а осадки между мергелем и чокраком принадлежат тархану. Мы должны отметить, что данный разрез и вообще неоген Лечхумской депрессий, изучен пока недостаточно хорошо...» (1962, стр. 38).

ხსენებული ავტორის მოსაზრება ლეჩხუმის მიოცენური ნალექების შესახებ მის მიერ ქართლში შემუშავებული სტრატиграფიული სქემის პირდაპირ გადმოტანას ნიშნავს. ქართლში კი მიოცენური ნალექების იმ თანმიმდევრობას, რომელსაც გ. კვალიაშვილი გვთავაზობს, მკვლევართა უმეტესობა არ იზიარებს.

სოფ. წიფერჩის აღმოსავლეთით, მდ. ბარდნალას ხეობაში, თარხნული ჰორიზონტი (47 მ) ძირითადად იმავე ფაციესით არის წარმოდგენილი, როგორც დასავლეთ ნაწილში. აქაც თარხნული ფაუნა ნაპოვნია წყების ქვედა და ზედა თხელშრეებრივ ნაწილებში.

სოფ. ჭალისთავთან (მდ. ნამკაშურის ხეობა) თარხნული ნალექები წარმოდგენილია თხელშრეებრივი მოშავო-ნაცრისფერი თიხიანი ქვიშაქვების, თიხების, ქვიშიანი თიხებისა და ქვიშაქვების მორიგეობით. ამ ჭრილშიც, შედარებით მდიდარი თარხნული ფაუნა, წყების ზედა ნაწილთან არის დაკავშირებული. ამავე დონეზე, თარხნულ ფორმებთან ერთად გვხვდება *Rzehakia socialis* (R z.). სოფ. ჭალისთავის მიდამოებში თარხნული ჰორიზონტის სიმძლავრე 24 მ მცირდება.

კიდევ უფრო აღმოსავლეთით, ორბელის-სერზე (ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთა) თარხნული ნალექები ლარიბია ნამარხებით. აქ ფაუნა ნაპოვნია მხოლოდ ერთ შრეში და სრულიად პირობითია ამ ჰორიზონტის ქვედა და ზედა საზღვარი. თარხნულს პირობითად ვაკუთვნებთ 20 მ სისქის თხელშრეებრივ, ძლიერ კარბონატული ქვიშაქვებისა და ქვიშიანი თიხების დასტას, რომელიც თანხმობით მოყვება კოწახურის ჰორიზონტის სქელ- და თხელშრეებრივ ქვიშაქვებს.

ლეჩხუმის სინკლინის სამხრეთ ფრთაში თარხნული ნალექების პალეონტოლოგიური დასაბუთება თითქმის ყველა ჭრილში არის შესაძლებელი. ამ ზოლში თარხნული შრეები, სოფ. ჩქუმი-ბარდნალას მიდამოების სინქრონულ ნალექებთან შედარებით, ღრმა ზღვის ფაციესით არის წარმოდგენილი. ამას მოწმობს როგორც ნალექების (ქვიშის მასალის მნიშვნელოვანი შემცირება), ისე ფაუნის ხასიათი (თხელნიჟარიანი, ნაზი მოკაზმულობის მქონე ფორმები). ამ მხრივ, ლეჩხუმის სინკლინის სამხრეთი ფრთის თარხნული ფაციესურად ძლიერ ახლოს დგას სოფ. ჭალისთავის და ორბელის-სერის ანალოგიურ ნალექებთან.



ლარჩვალის-სერზე თარხნული ჰორიზონტი თანხმობით აგრძელებს კოწახურის სქელშრეებრივ ქვიშაქვებს და თავის მხრივ თანდათან გადადის ჩოკრაკულში. აქ, ნალექები წარმოდგენილია თხელშრეებრივი თიხებისა და თიხიანი ქვიშაქვების მორიგეობით (20 მ). ქვიშიან თიხებში ნაპოვნია ლარიბი თარხნული ფაუნა — *Nucula nucleus* L., *Leda subfragilis* M. H o r n., *Nassa* sp. ქვედა საზღვარი კოწახურსა და თარხნულს შორის დიდი ლითოლოგიური განსხვავების გამო მეტისმეტად მკაფიოა, ზედა საზღვრის გავლება კი მხოლოდ ფაუნის საფუძველზე ხერხდება, რადგანაც თარხნული და ჩოკრაკულის ქვედა ნაწილი მსგავსი ფაციფსებით არის წარმოდგენილი.

აღმოსავლეთით, ალვი-ღვირიშის მიდამოებში თარხნული ლითოლოგიურად არაფრით არ განსხვავდება სოფ. ლარჩვალის სინქრონული ნალექებისაგან. აქაც, ჰორიზონტის ქვედა საზღვარი ადვილი გასავლებაა, რადგანაც მაიკობის თიხებს სცვლის ძლიერ კარბონატული ქვიშიან-თიხიანი დასტა თარხნული-სათვის დამახასიათებელი ფორმებით. სოფ. ღვირიშთან თარხნული ფაუნა ნაპოვნია ნალექების ფუძიდან 2 მ, ესენია: *Nucula nucleus* L., *Leda subfragilis* R. H ö r n., *Thyasira flexuosa* M o n t. v a r. *subtriangula* M e r k l., *Xylophaga dorsalis* T u r t., *Abra parabilis* Z h i z h., *Cuspidaria cuspidata* O l., *Natica helicina* B r o c c., *Pleurotoma neutra* L i v e r., *Nassa* sp. ამ ფაუნიდან პირველი სამი თარხნულის სახელმძღვანელო ნამარხადაა მიჩნეული, დანარჩენები კი საერთოა ყირიმ-კავკასიის თარხნულ-ჩოკრაკული ნალექებისათვის. ამავე ჭრილში ფუძიდან 23 მ სიმაღლეზე შეგროვდა იგივე სახეები, გარდა პირველი სამი ფორმისა. მიუხედავად იმისა, რომ ზედა ფაუნიან შრეში საკუთრივ თარხნულისათვის დამახასიათებელი სახეები არ გვხვდება, მას აღნიშნულ ჰორიზონტს ვაკუთვნებთ. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ის წარმოადგენს გარდამავალ ნაწილს თარხნულსა და ჩოკრაკულ ნალექებს შორის. უფრო ზევით, მსგავსი ფაციფსით გამოხატულ ნალექებში უკვე ჩნდება ჩოკრაკულის სახელმძღვანელო ნამარხი *Ervilia praepodolica* A n d r u s. ამრიგად, სოფ. ღვირიშთან საზღვრის გატარება თარხნულსა და ჩოკრაკულ ჰორიზონტებს შორის მხოლოდ პალეონტოლოგიური მასალის საფუძველზე ხერხდება.

მსგავსი ლითოლოგიით და, ძირითადად, ფაუნის ასეთივე კომპლექსით არის წარმოდგენილი თარხნული ნალექები სოფ. უსახელოსთან. აქ თარხნულ ჰორიზონტს უშუალოდ მოყვება უსახელოს ქვიშაქვები მდიდარი ჩოკრაკული ფაუნით. ასეთივე სურათი შეიმჩნევა სოფ. სურმუშის მიდამოებში.

უფრო აღმოსავლეთით, ლეჩხუმის ფარგლებში, თარხნული ჰორიზონტი არ არის გაშიშვლებული.

ამით შეიძლება დაგვემთავრებინა თარხნული ჰორიზონტის განხილვა, მაგრამ, რადგანაც მიოცენური ნალექები ლეჩხუმიდან უწყვეტად გრძელდება რაჭაში, ინტერესმოკლებული არ იქნება შევეხოთ თარხნულ ნალექებს სოფ. ბაჯის მიდამოებში (ქვემო რაჭა).

სოფ. ბაჯთან, ქვე-ღვარდიის სინკლინის სამხრეთ ფრთაში, თარხნული ნალექები ძალიან მდიდარ ფაუნას შეიცავს, თანხმობით მოყვება მაიკობის წყებას და წარმოდგენილია სპირილისებრიანი კირქვების, თიხიანი ქვიშაქვებისა და მაიკობური თიხების მორიგეობით (5,7 მ). ეს ნალექები იფარება ჩოკრაკული ასაკის მერგელებისა და კირქვების მორიგეობით. სოფ. ბაჯის მიდამოები იმ მხრივ არის განსაკუთრებით საინტერესო, რომ აქ თარხნული ფაუნის შემცველი შრე-



ები მორიგეობენ მაიკობურ თიხებთან. უკანასკნელი გარემოება კი იმითაა საყურადღებო, რომ ზოგი მკვლევარი უარყოფს მაიკობის თიხების არსებობას თარხნულ ნაღებებში.

### ჩოკრაკული ჰორიზონტი

საკვლევ ფართობზე ჩოკრაკულ ნაღებებს დიდი გავრცელება აქვს. იგი ყველგან თანხმობით აგრძელებს თარხნულ ნაღებებს და თანხმობითვე იფარება კარაგანული შრეებით. ჩოკრაკულის და თარხნული ნაღებების ერთმანეთისაგან გამოყოფა მათ შორის დიდი ლითოლოგიური მსგავსების გამო, მხოლოდ ფაუნის საფუძველზე არის მოსახერხებელი.

ლენჩხუში ჩოკრაკული ჰორიზონტის დადგენა ბ. მეფერტის (1930) სახელთან არის დაკავშირებული. იგი სოფ. ჭალისთავის (მდ. ნამკაშურის ხეობის გასწვრივ) და სოფ. ბარდნალას მიდამოების ქვიშაქვიანი ნაღებებიდან ასახელებს ჩოკრაკული შრეებისათვის დამახასიათებელ რამოდენიმე ფორმას. მკვლევრის მიხედვით ხსენებული ჰორიზონტი ტრანსგრესიულად არის განლაგებული შუა ოლიგოცენური ასაკის ნაღებებზე (უსახელოს ქვიშაქვებზე) და იწყება მძლავრი ფუძის კონგლომერატებით. ბ. მეფერტმა ფუძის წარმონაქმნად ჩათვალა სოფ. ჩქუმისა და სოფ. ჭალისთავის ზოლში განვითარებული კონგლომერატები, რომლებიც დაახლოებით ჩოკრაკული ნაღებების შუა ნაწილში მდებარეობს და შიგაფორმაციულ ხასიათს ატარებს.

ა. ჯანელიძის (1940) მიხედვით უსახელოს ქვიშაქვები ჩოკრაკულს უნდა წარმოადგენდეს. იგი ასეთ დასკვნას აკეთებს იმის საფუძველზე, რომ სოფ. უსახელოსთან აღნიშნული ქვიშაქვების ქვედა ნაწილში, დ. მიქელაძემ იპოვნა ჩოკრაკული ჰორიზონტისათვის დამახასიათებელი მოლუსკური ფაუნა. გარდა ამისა ა. ჯანელიძის მონაცემებით, უსახელოს ქვიშაქვები სოფ. სურმუშიდან უწყვეტად გრძელდება და ებმის სოფ. ჭყვიშისა და სოფ. ჭრებალოს მიდამოების ფაუნისტურად კარგად დახასიათებელ ჩოკრაკულ ნაღებებს.

ი. კაჭარავას (1944) მიხედვით უსახელოს ქვიშაქვების ქვედა ნაწილში (და არა ფუძეში) მართლაც შეიმჩნევა ჩოკრაკული ფორმები, რის გამოც ნაღებების დიდი ნაწილი აღნიშნულ ჰორიზონტს უნდა მიეკუთვნოს. ე. ვახანია (1959), დ. პაპავა და ა. ლალიევი (1964) ლენჩხუმის რამდენიმე ჭრილში ასაბუთებენ ჩოკრაკული ნაღებების არსებობას და ასახელებენ ამ ჰორიზონტისათვის დამახასიათებელ ახალ პალეონტოლოგიურ მასალას.

სანამ ჩოკრაკული ჰორიზონტის დახასიათებას შევუდგებოდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევჩერდეთ ლიტერატურაში კარგად ცნობილ ე. წ. „უსახელოს ქვიშაქვებზე“.

მიუხედავად იმისა, რომ ცნობებს უსახელოს ქვიშაქვების შესახებ გასული საუკუნის მკვლევართა შრომებში ვხვდებით, ჯერ კიდევ არ არის მიღწეული საბოლოოდ მიღებული შეხედულება ამ ნაღებების შესახებ. მაგალითად, დღემდე სადაოა, წარმოადგენს თუ არა აღნიშნული ქვიშაქვები ლითოლოგიურ-სტრატეგრაფიულ ერთეულს; ხომ არ არის იგი მხოლოდ ფაციესის გამომხატველი; რას ვუწოდოთ უსახელოს ქვიშაქვები, რა დამოკიდებულებაშია იგი მოსაზღვრე ნაღებებთან; რომელი მკვლევრის სახელთან არის დაკავშირებული მისი გამოყოფა და სხვ.

უსახელოს ქვიშაქვების გამოყოფას და მისი დათარიღების პირველ ცდას ბ. მეფერტს მიაწერენ. მაგრამ ბ. მეფერტის გამოკვლევებზე (1930) ბევრად უფრო



ადრე, ს. სიმონოვიჩის, ლ. ბაცევიჩის და ა. სოროკინის შრომაში (1875), საკმარისად დეტალურად არის დახასიათებული უსახელოს ქვიშაქვები, მისი გავრცელება და იმ დროისათვის საკმარისად ზუსტად არის მითითებული მისი ასაკი.

ხსენებული მკვლევრები ლეჩხუმის მიოცენს ორ ნაწილად ჰყოფენ: 1) მიოცენის ქვედა ზონის ქვიშაქვები (უსახელოს ქვიშაქვები) და 2) მიოცენის ზედა ზონა (ქვიშიანი ლუმაშელის და კონგლომერატის ზონა). ავტორები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ გადასვლა ქვედა „ზონიდან“ ზედაში სრულიად თანდათანობითია. ისინი ლუმაშელიან ქვიშაქვებიდან აღნიშნავენ სარმატული ფაუნის 10-მდე სახეს. ქვედა „ზონის“ ქვიშაქვებში იგულისხმება უსახელოს ქვიშაქვები, რომელიც განსაკუთრებით კარგად მდ. ლაჯანურისა და ცხენისწყლის წყალგამყოფზე არის განვითარებული. ავტორების მიხედვით უსახელოს ქვიშაქვები სარმატულზე ძველია. უფრო მეტიც, ისინი თავის შრომაში, თუმცა გაკვრით, მაგრამ მაინც ხაზს უსვამენ, რომ აღნიშნული ნალექები შესაძლებელია წარმოადგენდნენ შუა მიოცენის „საგებ გვერდს“.

აღნიშნულის საფუძველზე ვფიქრობთ, რომ ლეჩხუმის მიოცენური ნალექების კვლევის ისტორია სათანადო შესწორებას საჭიროებს. ბუნებრივია, რომ უსახელოს ქვიშაქვების გამოყოფაც ხსენებული მკვლევრების სახელთან იყოს დაკავშირებული.

ბ. მეფერტი (1930) უსახელოს ქვიშაქვების გავრცელებას ძირითადად იმავე საზღვრებით შემოფარგლავს, როგორც ეს ს. სიმონოვიჩს და მის თანაავტორებს ჰქონდათ აღნიშნული.

ბ. მეფერტის დაკვირვებით, უსახელოს ქვიშაქვები სრული თანხმობით აგრძელებს ქვედა ოლიგოცენური ასაკის თევზის ქერცლებიან თიხიან წყებას (მაიკობის თიხები) რის გამოც «...свита грубослойных песчаников Лечхума не должна быть по возрасту выше среднего олигоцена» (იქვე, გვ. 38). თუმცა შემდეგში იგი შესაძლებლად თვლის უსახელოს ქვიშაქვების ქვედა მიოცენისადმი მიკუთვნებას. ავტორის მიხედვით წიფერჩის ქვიშაქვები ტრანსგრესიულად იფარება ჩოკრაკული ნალექებით, რომლის ბაზალური ნაწილი კარგად არის გაშიშვლებული მდ. ნამკაშურის ხეობის მარჯვენა ნაპირზე. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ეს კონგლომერატები ტიპიურ შიგაფორმაციულ ხასიათს ატარებს.

ა. ჯანელიძის (1940) მიხედვით, უსახელოს ქვიშაქვები ძირითადად ჩოკრაკულს უნდა მიეკუთვნოს. ამ ქვიშაქვებს ზევით კარაგანული ნალექები ადევს, ხოლო ქვიშაქვების ფუძესთან ახლოს ჩოკრაკული ფორმებია ნაპოვნი. ა. ჯანელიძეს მხედველობაში აქვს ძირითადად სოფ. უსახელოს მიდამოები, სადაც აღნიშნული ქვიშაქვებია გამოყოფილი და არა მთელი ის ზოლი, რომელსაც ს. სიმონოვიჩი, ა. სოროკინი და ბ. მეფერტი გულისხმობდა.

ი. კაჭარავა (1944) სოფ. წიფერჩის მიდამოების სქელშრებებრივი ქვიშაქვების გაცნობის შედეგად აღნიშნავს, რომ „წყების სულ ქვედა ნაწილში ნამარხები არ შეგვიმჩნევია, მაგრამ მალე ნალექებში კარგად დაცული ჩოკრაკული ფორმები გვხვდება: *Avicula mira* Zhizh., *Syndesmya alba* Wood. var., *Spaniodontella* sp. და სხვ.“ (იქვე, გვ. 8). ამის გამო ავტორი წიფერჩის ქვიშაქვების დიდ ნაწილს ჩოკრაკულად თვლის, თუმცა გამორიცხულად არ მიმაჩნია, რომ წყების ქვედა ნაწილი კოწახურს და, ნაწილობრივ, ქვედა მიოცენსაც მოიცავდეს. ანალოგიურ დასკვნას აკეთებს ე. ვახანია (1959).

ა. ლალიევის (1964) დაკვირვებით, სოფ. უსახელოსა და სურამუშის მიდამოებში განვითარებული ქვიშაქვების უკიდურესი ქვედა ნაწილი თარხნულია.



უკანასკნელს უშუალოდ მოჰყვება ფაუნით კარგად დახასიათებული ჩოკრაქული ნალექები.

ამრიგად, უსახელოს ქვიშაქვებს ძველი ავტორები განიხილავდნენ როგორც ლითოლოგიურ-სტრატეგრაფიულ ერთეულს, რომელიც მთელი მისი გავრცელების მანძილზე ერთი ასაკის უნდა იყოს. პირველად ი. კაჭარავამ გამოთქვა მოსაზრება, რომ უსახელოს ქვიშაქვები არ უნდა თავსდებოდეს ერთი რომელიმე ასაკის ფარგლებში. ი. კაჭარავას ეს მოსაზრება დაადასტურეს ე. ვახანიამ (1959), ა. ლალიევამ (1964) და ჩვენმა მონაცემებმა. ჩქუმი-ჭალისთავის ზოლის უსახელოს ქვიშაქვები, რომლებსაც ბ. მეფერტი სოფ. უსახელოს მიდამოების ანალოგიური ნალექების სინქრონულად თვლიდა, შეიცავს საყარაულოსა და კოწახურის ფაუნას. სოფ. უსახელოსთან კი უსახელოს ქვიშაქვები ჩოკრაქულს მიეკუთვნება.

ა. ჯანელიძემ საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა ხსენებული ნალექების შესახებ. ავტორის მიხედვით უსახელოს ქვიშაქვები რაჭა-ლეჩხუმის სინკლინალის სამხრული ფრთის ფაციესს წარმოადგენს, ჩრდილოეთით ფაციესი არსებითად განსხვავებულია და უსაფუძვლო ჩანს უსახელოს ქვიშაქვები ვუწოდოთ აღნიშნული ზოლის მიოცენის ქვედა ნაწილში განვითარებულ ნალექებს. ჩვენი დაკვირვება საეცებით ეთანხმება ა. ჯანელიძის მოსაზრებას.

ჩვენ საშუალება გვქონდა დეტალურად შეგვესწავლა უსახელოს ქვიშაქვების გავრცელების ადგილები. ეს არის ზოლი მოქცეული სოფ. სურამუშა და სოფ. აღვს შორის. ამ მონაკვეთში უსახელოს ქვიშაქვები მაღალი, უწყვეტი, ციცაბო კარნიზების სახით არის წარმოდგენილი. ამ ზოლში რამოდენიმე ადგილას ვიპოვნეთ თარხნული ჰორიზონტისათვის დამახასიათებელი ფაუნა მაიკოპის თიხების ზევით, კარბონატულ თხელშრეებრივ დასტაში. უკანასკნელს თანხმობით აგრძელებს ჩოკრაქული ასაკის სქელშრეებრივი ქვიშაქვები, დამახასიათებელი სფერული გამოფიტვით. როგორც ს. სიმონოვიჩის, ლ. ბაცევიჩის, ა. სოროკინის და ბ. მეფერტის აღწერებიდან ჩანს, სწორედ აღნიშნულ სქელშრეებრივ ქვიშაქვებს უწოდეს მათ უსახელოს ქვიშაქვები. ამიტომ უფრო მართებული ჩანს ვილაპარაკოთ უსახელოს ქვიშაქვების არა თარხნულ-ჩოკრაქულ ასაკზე, არამედ მხოლოდ ჩოკრაქულზე. ასეთი დაშვება მართებული ჩანს იმიტომაც, რომ ხსენებული ზოლის თარხნული შრეები ლითოლოგიურად უფრო ახლოს დგას მაიკოპის თიხების ზედა ქვიშიან ნაწილთან, ვიდრე უსახელოს ქვიშაქვებთან.


